ლელო

№148 (12 218)

26 ივნისი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეიდან კოპა ამერიკა

უყურეთ პირდაპირ რეპორტაჟებს ტელეიმედზე

COPA AMERICA VENEZUELA 2007

# ახალი ბრაზილიის მძიმე ტვირთი



## არგენტინა 14-წლიანი ნავსის გატეხვას შეეცდება 8

ტურნირის წინათქმა და კალენდარი

# ტრეზეგემ გადაიფიქრა: ვრჩები!

## რას იზამს ნედვედი?



დავიდ ტრეზეგემ "იუვენტუსიდან" წასვლა აღარ ინდომა. მიუხედავად იმისა, რომ კლუბსა და ფრანგ ფორვარდს შორის ურთიერთობა ბოლო პერიოდში უკიდურესად გაცივდა, ახალ ხელშეკრულებაზე შეთანხმება მაინც შედგა. ამაში გადამწყვეტი როლი ითამაშა "იუვეს" პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ, რომელმაც დაარწმუნა ტრეზეგე, რომ "ბებერი ქალბატონისთვის" კვლავაც საჭირო კაცია. დღეს მხარეები ხელს მოაწერენ კონტრაქტს (მიმდინარე 2008 წელს იწურებოდა), რომლის ძალითაც ფრანგი მეგოლე "იუვეს" 2011 წლამდე დაუკავშირებს ბედს. მისი სეზონური ანაზღაურება 4.5 მილიონი ევრო იქნება.

გუშინვე, ტურინელმა პრეზიდენტმა დარწმუნებით თქვა, რომ პაველ ნედვედი ფეხბურთიდან წასვლას გადაიფიქრებს და "იუვენტუსში" მინიმუმ ერთ სეზონსაც დაყოფს. ვნახოთ.





# უკვე ნაღდი ბარსელონელი

## ტიერი ანრიმ კონტრაქტი გააფორმა

გუშინ **ტიერი ანრი** ბარსელონაში ჩავიდა. ფრანგი ფორვარდი ჯერ "კამპ ნოუს" სამედიცინო ცენტრს ეწვია, სადაც ჯანმრთელობაზე ტესტი წარმატებით ჩააბარა. შემდეგ, 32 მილიონ დოლარად შეფასებული 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა "ბარსას" პრეზიდენტ **ხოან ლაპორტასთან** ერთად, რის შემდეგაც უკვე ნაჩვევი 14-ნომრიანი მაისურა გადაეცა, ბოლოს კი სტადიონზე თავმოყრილი მრავალრიცხოვანი კატალონიელი ქომაგის წინაშე წარდგა. ამათ შორის კი იყო სახელდახელო და სტანდარტული კომენტარი:

*"აქ ყოფნა ენით აუწერელი გრძნობაა. ყოველთვის ვამბობდი, რომ "არსენალის" დატოვების შემთხვევაში, ჩემი უპირველესი არჩევანი "ბარსა" იქნებოდა. ამ გუნდის სათამაშო სტილი, ფანები, კლუბის უმდიდრესი ისტორია და ის დიდი მოთამაშეები, რომლებიც ახლა ჩემი თანაგუნდელები არიან, მთავარი მოტივაცია იყო".*

გასულ სეზონში ანრიმ მხოლოდ 17 მატჩი ჩაატარა, და ეს მაშინ, როცა 1999 წლიდან მოყოლებული, თითოეულ ჩემპიონატში 30 შეხვედრაზე ნაკლები არ უთამაშია. შთამბეჭდავია "არსენალის" მაისურით ჩატარებულ 364 მატჩში გატანილი 226 გოლიც.

*"ტრავმები? მხოლოდ ამ სეზონში დავიტანჯე, ახლა კი კარგად ვარ, დასვენებულიც გახლავართ და მომავალი ჩემპიონატის წინ ეს დიდი უპირატესობაა. რაც შეეხება კონკურენციას, ამის არ მეშინია. ხანდახან სკამზეც უნდა დაჯდე, ყველაფერს უნდა შეეჩვიო"...*



## LIVE სპორტული საინფორმაციო ცენტრი

# 272-272

ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ LIVE

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხვიჩა ქასრაშვილი და ვალერი კილასონია



ერნესტ აკასაგა

ოლიმპი

# ქასრაშვილი რუსთავში

## ჩემპიონი იგებს და აფრიკელებს იმატებს

**გუშინ** "ლოკომოტივის" ბაზაზე საკონტროლო მატჩში თბილისის "ლოკომოტივი"რუსთავის "ოლიმპს" შეხვდა.

| ლოკომოტივი-ოლიმპი | 0:2 |
|---|---|

0:1 დვალი (85. ნავალოვსკის პასით), 0:2 ნავალოვსკი (86. გიგაურის პასით).

ლოკომოტივი: მიგინეიშვილი, ახალაია, კვახაძე, გუშარაშვილი, ქუხილავა, ბარბაქაძე, მამულაშვილი, ტიკურიშვილი, მალიჩავა, გულორდავა, კირკიტაძე.

შეცვლაზე შევიდნენ: ჯინჭარაძე, მჭედლიშვილი, ელიზბარაშვილი, თუთბერიძე, ბახტაძე.

ოლიმპი: მერლანი, გიგაური, სილაგაძე, აკუსაგა, ნავალოვსკი, კახელიშვილი, კოშკაძე, ხუბუა, გეწაძე, დვალი, დვალიშვილი.

შეცვლაზე შევიდნენ: ალავიძე, ჭიჭვეიშვილი, როსტიაშვილი, სებისკვერაძე, ჯიქია.

სანამ უშუალოდ თამაშზე მოგითხრობდეთ, სიახლეებზე გეტყვით: რუსთავის "ოლიმპის" მთავარ მწვრთნელ **ვარლამ კილასონიას** ამიერიდან თბილისის "დინამოს", საჩხერის "ჩიხურისა" და ბოლნისის "სიონის' ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ხვიჩა ქასრაშვილი** დაეხმარება.

გუნდი უკვე შეგუებულია იმ ფაქტს, რომ "ოლიმპის" ლიდერები **გიორგი ონიანი** და **გიორგი სეთურიძე** კარიერას გერმანიაში გააგრძელებენ.

სამაგიეროდ, როორც გვითხრა **რეზო გეწაძემ**, იგი რიგის "სკონტოში" აღარ მიდის და კარიერას ისევ რუსთავში გააგრძელებს.

გუშინ ყველას ინტერესს იწვევდა გაბონის ნაკრების წევრი **ერნესტ აკასაგა**. ის ცენტრალური მცველის პოზიციაზე **ლევან სილაგაძეს** შეუწყვილდა და გამოჩნდა, რომ კარგა ხნის უვარჯიშებელია, ტექნიკური პრობლემებიც აქვს, თუმცა პლუსებიც გამოაჩინა - საკმაოდ ხისტია და "მეორე სართულზე" მშვენივრად გრძნობს თავს.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ გუშინ თბილისში ჩამოფრინდა **გია გურულის** მიერ რეკომენდებული კიდევ ერთი ფეხბურთელი, კამერუნელი ცენტრალური მცველი **ეენი აბანდა პოლინი.** კიდევ ორი კამერუნელი, საყრდენი ნახევარმცველი **ბოსამბე მუტურუ ერიკი** და ფორვარდი **ეიენგა ანისე,** აგრეთვე კონგოს ნაკრების ფორვარდი **მასუანგა ბოდრი ჯილდასი** საქართველოს ჩემპიონს მოგვიანებით შეუერთდებიან.

... ანგარიშმა არ მოგატყუოთ. **გიორგი კიკნაძე** და **ზაზა ზამთარაძე** "ლოკომოტივის" დაქოქვას იწყებენ .და ეს რომ კარგად შეუძლიათ, რუსთავში ნახევარწლიანი მუშაობით გამოაჩინეს. თბილისელთა შორის გუშინ ბევრი უცნობი მოთამაშე გახლდათ, მაგრამ აშკარაა, რომ კიკნაძე-ზამთარაძის დუეტმა მათთან უკვე გვარიანი "ალმზრდელობითი" მუშაობა ჩაატარა. ეს გამოუცდელი ბიჭები არ ჩერდებოდნენ, ხისტად, სწრაფად და ერთი შეხებით ცდილობდნენ თამაშს. ეს ხან გამოსდიოდათ, ხან - არა. უხარისხო მოედანზე კიდევ ბევრი შეძლეს და საქართველოს ჩემპიონს გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს, ორი საგოლე მომენტი შექმნეს, ძელი შეაზანზარეს, მაგრამ ბადე მაინც ვერ შეარხიეს.

რუსთაველებმა მხოლოდ ბოლო წუთებზე გაიტანეს. ჯერ **გიორგი ნავალოვსკის** ჩინებული გადაცემა მეკარის საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილმა **ჯაბა დვალმა** გამოიყენა. ერთ წუთში კი უკვე თავად ნავალოვსკიმ ისარგებლა **დათო გიგაურის** 50-მეტრიანი გადაცემით - 0:2.

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო

# ლეშაკი გაბრუნდა რათა დაბრუნდეს?

| დინამო-ამერი | 2:1 |
|---|---|

1:0 მერებაშვილი (12), 2:0 ვუკუე (75), 2:1 ბოლქვაძე (83. პენალტით)

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, ლეშაკი, კობახიძე, დილმელაშვილი, ხმალაძე, ფეიქრიშვილი, მერებაშვილი, გონჩაროვი.

შეცვლაზე შევიდნენ: ლობჟანიძე, გ. კაშია, ვუკუე, ფირცხალავა, ხუციშვილი, იაშვილი, ჯანაშია, გველესიანი.

ამერი: ქვაჩახია, კობაური, დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, მესხი, დოლიძე (40. ვარდოსანიძე), დეკანოსიძე (40. ცხადაძე), ალავიძე, დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი.

შეცვლაზე შევიდნენ: ნადირაშვილი, მჭედლიშვილი, კაკაშვილი, ხვადაგიანი, ელბაქიძე, ჯელაძე, დობროვოლსკი, გოცირიძე, ტატანაშვილი, ბოლქვაძე.

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

უცხოური შეკრების წინ "დინამომ" და "ამერმა" ბოლო ამხანაგური მატჩი გამართეს. გუშინ დილმის საწვრთნელ ბაზაზე ჩატარებული შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. **გონჩაროვის** მიერ მოპოვებული საჯარიმო **მერებაშვილმა** ოსტატურად შეასრულა და ანგარიშიც ასე გაიხსნა. შესვენებამდე ორივე გუნდს შეეძლო ბურთის გატანა, მაგრამ არაფერი შეცვლილა. დანარჩენი ორი გოლი მეორე ნახევრის ბოლოს ვიხილეთ. ჯერ იყო და **რეიმონ ვუკუემ** ამერელთა შეუთანხმებელი მოქმედებით ისარგებლა და "დინამოში" პირველი გოლით ანგარიში ორამდე გაზარდა. ბოლოს კი **ტატანაშვილის** მიერ მოპოვებულ პენალტი **ბოლქვაძემ** გოლად აქცია და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ჩეხური "პრიბრამის" მცველი **მიჰალ ლეშაკი** გუშინდელ საკონტროლო მატჩში მონაწილეობის შემდეგ სამშობლოში გაემგზავრა. მას გერმანიაში ვიზა არ სჭირდება და თუ "დინამო" უხმობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუერთდება გუნდს.

მატჩის შემდეგ ორივე გუნდის თავკაცს კომენტარი ვთხოვეთ.

### დუშან უჰრინი
დინამო

*"კარგი საწვრთნელი მატჩი გამოვიდა. რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოვცადეთ. ხვალ გერმანულ შეკრებაზე მივემგზავრებით. ამ ეტაპისთვის გუნდის მზადებით კმაყოფილი ვარ. გერმანულ შეკრებაზე ალბათ კიდევ ერთი ფეხბურთელი შემოგვიერთდება. ჩვენ თავდამსხმელი გვჭირდება."*

### გიორგი ჩიხრაძე
ამერი

*"ბორჯომიდან ორი დღის წინათ ჩამოვედით და პირველი საკონტროლო მატჩი გავმართეთ. შერეული შემადგენლობით ვითამაშეთ და ახალგაზრდა ფეხბურთელებიც გამოვცადეთ. შედეგით კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ შვებულების შემდეგ პირველი თამაში იყო და თამაშის ხარისხზე ცუდს ვერ ვიტყოდი. ჩეხეთში ამ შემადგენლობით გავემგზავრებით. გუნდის სელექცია ჯერ კიდევ არ დაგვისრულებია და სავარაუდოდ ჩეხეთშიც შემოგვემატება ფეხბურთელი. ვინ იქნება ქართველი თუ უცხოელი, ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით.*

*ჩეხეთში რამდენიმე საკონტროლო მატჩს გავმართავთ. სპარინგპარტნიორებად "სპარტა", "სლავია", "ბრჟანი", "პლშანი", "ლიბერეცი" გვეყოლება."*

**"დინამოს" გერმანიაში**
**6 საკონტროლო მატჩი დაგეგმა:**

| | | |
|---|---|---|
| 28.06 | **დინამო-შტაინაზე** | (გერ, რეგიონალლიგა) |
| 01.07 | **დინამო-შლოტჰაიმი** | (გერ, რეგიონალლიგა) |
| 02.07 | **დინამო-გერა** | (გერ, ობერლიგა) |
| 04.07 | **დინამო-ჰაიდუკი** | (ხორვატია) |
| 07.07 | **დინამო-ესენი** | (გერ, ობერლიგა) |
| 09.07 | **დინამო-კარლ ცაისი** | (გერ, II ბუნდესლიგა) |

მოლაპარაკებები მიმდინარეობს "შალკესთან" და შესაძლოა გერმანული შეკრების ბოლოს ლევან კობიაშვილის გუნდთანაც მოხერხდეს ამხანაგური მატჩის გამართვა.

**დავით ცაბაძე**



ბურთით მიჰალ ლეშაკი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო


# დელგადო მოამზადებს ფეხბურთელებს არგენტინაში

ედუარდო დელგადომ არგენტინაში მრავალი ფეხბურთელი მოამზადა, მათ შორის, თავისი ვაჟი მატიას დელგადო. მან ასპარეზობა დაიწყო არგენტინის "ჩაკარიტა ხუნიორსის" საფეხბურთო კლუბში, ხოლო შემდეგ კარიერა გააგრძელა შვეიცარიის "ბაზელში". გასული წლიდან, მატიას დელგადო ასპარეზობს თურქეთის "ბეშიქთაშში". მას კლუბთან გაფორმებული აქვს კონტრაქტი რამდენიმე მილიონ ამერიკულ დოლარზე.

ამჟამად, ედუარდო დელგადო არგენტინაში ამზადებს თენგიზ სულაქველიძის აკადემიადამთავრებულ ხვიჩა მურღულიასა და ქალაქ რუსთავის საფეხბურთო გუნდ "მეშულის" ფეხბურთელ ვასილ აფციაურს.

ამა წლის ივლისიდან, დელგადო საქართველოდან არგენტინაში იწვევს 16-17-18 წლის პერსპექტიული ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს (18 კაცამდე). დელგადო ფეხბურთელებს მოამზადებს მაღალ დონეზე. მათ შეეძლებათ, ითამაშონ საქართველოს, არგენტინისა და ევროპის საფეხბურთო გუნდებში. აგრეთვე, დელგადოს მიერ მომზადებული ფეხბურთელები შეძლებენ, მაღალ დონეზე ითამაშონ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

არგენტინის მხარე ავიაბილეთების, ვიზების, ადგილზე ცხოვრების, ტრანსპორტის, კვებისა და მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს.

დაწვრილებითი ცნობებისთვის, ფეხბურთელებთან და მათ სპონსორებთან შეხვედრები იწარმოებს მისამართზე: თავისუფლების მოედანი, ლეონიძის ქ. 4 (ყოფილი კიროვის ქუჩა), დღლის 11 საათიდან 13 საათამდე. ყოველდღე, კვირის გარდა.

**საკონტაქტო ტელეფონები: 92 10 60; 8 (99) 23-55-20.**
**ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან ამა წლის ივლისში.**
**იჩქარეთ, საბუთების გასაფორმებლად!**

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



ცხინვალის ვიცე-პრეზიდენტები იგორ ხუბეჟოვი და მამუკა მამაცაშვილი

ცხინვალი

# ამბიცია ჰაერიდან არ მოდის

„ცხინვალი" განაგრძობს ახალი საფეხბურთო სეზონისთვის მზადებას. შესაბამისად, გრძელდება გუნდის დაკომპლექტებაც. უკვე შეუდგა მუშაობას ახალი მთავარი მწვრთნელი **სერგო გაბელაია**, რომელიც დღესდღეობით ამჟამინდელ კონტინგენტთან მუშაობს. უახლოესი კვირების განმავლობაში გუნდი საბოლოოდ დაკომპლექტდება.

ცხინვალელები ისევ აცხადებენ პრეტენზიას უმაღლეს ლიგაში თამაშზე, თუმცა ჯერჯერობით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არ მიუღია გადაწყვეტილება ქვეყნის ელიტურ ლიგაში მათს ალზევებასთან დაკავშირებით.

25 ივნისს, გორში, „ქართლის" სტადიონს კლუბის ახალი ვიცე-პრეზიდენტი **იგორ ხუბეჟოვი** ეწვია. ხუბეჟოვი ამავდროულად დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის თავმჯდომარის პირადი მრჩეველიცაა.

„ლელო" მას ცხინვალელთა სამომავლო გეგმების თაობაზე ესაუბრა...

- „ქართლზე" „ცხინვალის" ირგვლივ არსებული ვითარების უშუალოდ სანახავად ჩამოვედი. გუნდის პრეზიდენტი, ბატონი დიმიტრი საჩაკოევი სისტემატურად ინტერესდება ამ საკითხით. ჩვენ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება გვაქვს განზრახული. საამისოდ ბევრს ვმუშაობთ, ენერგიას არ დავიშურებთ არც მომავალში.

**- გუნდის უმაღლეს ლიგაში გადასვლასთან დაკავშირებით ახალს ხომ ვერაფერს გვეტყვით?**

- ამ საკითხს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გადაწყვეტს. ჩვენი მხრივ სფფ სრულად ჩავაყენეთ საქმის კურსში იმასთან დაკავშირებით, თუ რა ამბიციები გვაქვს და რის გაკეთებას ვაპირებთ. მინდა ალვნიშნო, რომ ფედერაციის ხელმძღვანელები გულისყურით გვისმენენ და სწამთ ჩვენი სიტყვის. ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე დამეთანხმება, რომ „ცხინვალის" ალორძინება ძალიან დიდი საქმეა, ეს თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა. უმაღლეს ლიგაში „ცხინვალის" დაბრუნება სასიკეთოდ წაადგება საერთო საქმეს, მხოლოდ სპორტს არ ვგულისხმობ! ამასთან, არა მგონია ვინმე ფიქრობდეს, თითქოს „ცხინვალი" უმაღლესი ლიგისათვის შესაფერისი არაა. ამ ქალაქს კარგი საფეხბურთო ტრადიციები გააჩნდა ყოველთვის. შორს რომ არ წავიდეთ, უახლოესი წარსულის ფეხბურთელები გაიხსენეთ ბახვა თედეევი, ინალ ჯიოევი, ალსარ ბეკოევი, ალბერტ დოგუზოვი... ჩვენი ამბიცია ჰაერიდან მოტანილი არაა, გვაქვს სერიოზული საფუძველი საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ძლიერი გუნდი გვყავდეს.

**- ამჟამად თუ გაქვთ ურთიერთობა ამ პიროვნებეთან?**

- რასაკვირველია! შეიძლება ითქვას ისინი ჩვენი ძმები არიან. არაა გამორიცხული „ცხინვალმა" სამომავლოდ გარკვეული ურთიერთობა დაიჭიროს ამ ადამიანებთან.

**- თუ იქნებიან „ცხინვალში" ოსი ეროვნების ფეხბურთელები?**

- არიან დღესაც და მომავალშიც აუცილებლად იქნებიან. საერთოდ, მე ვიტყოდი აქ ჩემი და სხვა ალარ არსებობს, ყველა ერთად ვართ, საერთო საქმეს ვაკეთებთ. როგორც იტყვია, - ჩვენ ერთი გუნდი ვართ! კონკრეტულად თქვენს კითხვას რაც შეეხება - შევეცდებით დავიბრუნოთ ის მოთამაშეები, რომლებიც ცნობილ მიზეზების გამო რუსეთის ჩემპიონატში წავიდნენ სათამაშოდ. ამაზე დღესაც მიდის მუშაობა. ცხინვალში ამჟამად ბავშვთა საფეხბურთო სკოლაც მოქმედებს. გვჯერა, ვითარება მალე მოგვცემს იმის საშუალებას, რომ პატარებმა უახლოეს მომავალში სწორედ „ცხინვალში" გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები. სხვათა შორის გუნდის ალორძინების თაობაზე გავრცელებულ ხმებს მალევე მეტად საინტერესო რეაქცია მოჰყვა. დაგვირეკეს ბიზნესმენებმა, რომლებიც დღესდღეობით რუსეთში საქმიანობენ და თანადგომას დაგვპირდნენ. მართალია, ჩვენ მხოლოდ მათი თანადგმის იმედით არ ვსაუბრობთ ამბიციებზე, მაგრამ ეს რომ მნიშვნელოვანი ფაქტია, ყველა დამეთანხმებით.

**- რაც შეეხება კლუბის ფინანსურ უზრუნველყოფას, ორგანიზაციულ მხარეს...**

- კლუბი ფინანსურად უზრუნველყოფილი იქნება. მომავალში „ცხინვალს" უფრო მეტად დავეხმარებით. მოკლედ, ორგანიზაციული თვალსაზრისით ყველაფერი მოწესრიგებული იქნება. დანარჩენი მწვრთნელებისა და ფეხბურთელების გასაკეთებელია.

**- სად ითამაშებს საშინაო მატჩებს „ცხინვალი" და რა შედეგებისთვის იბრძოლებს უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის შემთხვევაში?**

- გადავწყვიტეთ ამ ეტაპზე საშინაო შეხვედრები ისევ გორში, „ქართლის" სტადიონზე ჩავატაროთ. არენას სათანადოდ მოვაწესრიგებთ, მინდვრის საფარი კი დღეს ვნახე და შესანიშნავად გამოიყურება. რაც შეეხება მიზნებს, უდავოა, უმაღლეს ლიგაში მაჩანჩალები არ ვიქნებით. რამდენად მზარდი იქნება ამბიციები, ყველანი დავინახავთ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# გოგი ფიფია: ტობოლს მოვუგებთ

**ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის პირველ შეხვედრაში "ზესტაფონმა" ყაზახურ "ტობოლთან" სტუმრად 0:3 წააგო და შემდეგ ეტაპზე გასასვლელად იოტისხელა შანსი შერჩა. ზესტაფონელთა შემტევი გოგი ფიფია გუშინ "ლოკომოტივი"-"ოლიმპის" საკონტროლო მატჩზე გახლდათ და ყაზახურ პერიპეტიებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.**

- ასეთი შედეგის მთავარი მიზეზი ის არის, რომ უძილობისგან და მგზავრობისგან ძალიან გადაღლილები ვიყავით. თუ რა შეფერხება შეგვემთხვა, ყველამ იცით. კოსტანაიში მატჩის დაწყებამდე სამი საათით ადრე ჩავედით, სასტუმროში ვისადილეთ, მწვრთნელისგან დავალებები მივიღეთ და თამაშზე წავედით.

**- პირველ ტაიმში გოლი არ გაგიშვიათ, მერე რა მოხდა?**

- პირველ ტაიმს გავუძელით, მოედანზე ყველაფერი დავდეთ. მეორე ტაიმის დასაწყისში კარგი მომენტი მქონდა, მაგრამ კარს ავაცილე. პირველი გოლი რომ გავუშვით, ეგრევე ავირიეთ, ათწუთიან მონაკვეთში სამი გოლი გავუშვით.

**- როგორ შეატყვე, "ტობოლი" ის გუნდია, რომელთანაც სამბურთიანი ფორის ამოქაჩვა შეუძლებელია?**

- საპასუხო მატჩში აქცენტს ალბათ სწრაფ გოლზე გავაკეთებთ. თუ პირველ ათ წუთში მოვახერხებთ გოლის გატანას, ყველაფერი შესაძლებელი იქნება. დასვენებულები, გამოძინებულები ვიქნებით და ვნახოთ, რა მოხდება. დარწმუნებული ვარ, "ტობოლს" მოვუგებთ, მაგრამ გავალთ თუ არა მომდევნო ეტაპზე, ამას ვერ გეტყვით.

**- ერთსაც გკითხავ. საქართველოს თასის წლევანდელ ფინალში სასტარტოში არ დაგაყენეს და ხმები გავრცელდა, ეს წმინდა სპორტული კი არა, სხვა მიზეზით მოხდაო...**

- უბრალოდ, მწვრთნელმა ჩათვალა, რომ ასი პროცენტით მზად არ ვიყავი და ჩემი შეცვლაზე თამაში გადაწყვიტა. შესაძლოა, ჩემი მოედანზე გასვლა ცოტა დაგვიანებული იყო.

**დავით თავართქილაძე**

რეგიონი

# რა მოხდება გურიაში?

დღეს, 11 საათზე, გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა ხელახლა გაიმართება. ამის მიზეზი სფფ-ის სამდივნოს მიერ გრფფ-სთვის შეჩერებული უფლებამოსილებაა. გურულები დღესაც დარწმუნებულები არიან, რომ **ნოდარ ახალკაცის** მხარდამჭერმა ორგანომ ბოსს „კოჭი გაუგორა" და მოწინააღმდეგის ბანაკს არჩევნებში ერთი ხმა წაართვა, თორემ არავითარ ლოგიკაში არ ჯდება - სიტყვაზე ენდო 4 სუბიექტს და უკანონოდ სცნო 8 დელეგატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. დღევანდელ ყრილობაზე გრფფ-ის პრეზიდენტი და ალმასკომის წევრები უნდა აირჩიონ. რა პროვოკაციები იგეგმება გრფფ-ს მოქმედ პრეზიდენტზე, სად ეძებდნენ მის შემცვლელს, ვინ არის **დურმიშხან ჩხაიძის** კონკურენტი და სად ჩატარდება არჩევნები? „ლელო" ექსკლუზიურ და აქამდე უცნობ დეტალებს ახმაურებს.

მოკლედ, დღეს ლანჩხუთში დიდ ვნებათაღელვას ელიან. არ არის გამორიცხული, გრფფ-ის მოქმედ პრეზიდენტ დურმიშხან ჩხაიძეს პროვოკაცია მოუწყონ. ალბათ, ამიტომაა, რომ ის ლანჩხუთში მხოლოდ გუშინ ჩამოვიდა. „ლელოს"ინფორმაციით, გარკვეული პირები თბილისში მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ საფეხბურთო სამყაროს ლანჩხუთელ წარმომადგენლებთან, თუმცა ვერავინ დაითანხმეს ჩხაიძესთან დასაპირისპირებლად. ეს რომ მომხდარიყო, სცენარი დაახლოებით ასე განვითარდებოდა - ახალ კანდიდატს ყრილობის ოზურგეთში ჩატარებას სთხოვდნენ, რაც უკვე ფაქტის დაფიქსირებას ნიშნავს, რომ გრფფ-ის ადგილსამყოფელი რეგიონის მთავარი ქალაქია. „სცენარის ავტორებს" მთავარი ავიწყდებათ - 13 ხმისმიმცემი დელეგატიდან 7 ლანჩხუთს წარმოადგენს, 4 - ოზურგეთს, 2 - ჩოხატაურს. ლანჩხუთის დელეგატების ხმაც საკმარისია და ეს ჩხაიძისადმი გარანტირებული ხმები უნდა იყოს, თუმცა არაა გამორიცხული, ერთ-ერთ მათგანზე ზეწოლა მოახდინონ. კულუარული ინფორმაციით, მოქმედ პრეზიდენტს მხარს შვიდივე ლანჩხუთელი, მინიმუმ ერთი ოზურგეთელი და 2 ჩოხატაურელი დელეგატი დაუჭერს. ამ უკანასკნელებმა წინა შემთხვევაშიც ჩხაიძის მხარე დაიჭირეს, რაც შეეხებათ ოზურგეთელებს - არავინ მალავს, რომ მთავარ ქალაქში შიდა დაპირისპირებაა და ორი თუ არა, ერთი დელეგატი ლანჩხუთელთა სასარგებლოდ იმუშავებს.

ოზურგეთის საფეხბურთო სამყაროში ცნობილმა სახემ და ერთ დროს დურმიშხან ჩხაიძის მთავარმა კონკურენტმა, **ბახვა გიორგაძემ** ამასწინათ „ლელოსთან" კომენტარში დააფიქსირა პრინციპული პოზიცია, რომლიდანაც ჩანს, რომ ის მოქმედი პრეზიდენტის ბანაკშია. ასე რომ, სადაც არ უნდა ჩატარდეს არჩევნები, ყველა შემთხვევაში ჩხაიძე იგებს. თუმცა გრფფ-ის ყრილობის ოზურგეთში ჩატარება უკანონო ქმედება იქნება და ყრილობა ლეგიტიმური ვერაფრით იქნება, რადგანაც გრფფ დაფუძნებულია ლანჩხუთში, აქვე არის ორგანიზაციის იურიდიული მისამართი და ყრილობის ოზურგეთში ჩატარება ან ოფისის მისამართის შეცვლა მხოლოდ ყრილობას შეუძლია. ამ გადაწყვეტილებას კი ის ორგანო, რომელშიც უმრავლესობას ლანჩხუთელები შეადგენენ, რა თქმა უნდა, არ მიიღებს. ალბათ, გაინტერესებთ, რატომ აქვს ლანჩხუთს ოზურგეთსა და ჩოხატაურზე ერთად აღებულზე მეტი ხმა. ფეხბურთის ტრადიციები აქ არაფერ შუაშია - ლანჩხუთში 7 საფეხბურთო სუბიექტია რეგისტრირებული, ოზურგეთში - 4, ხოლო ჩოხატაურში - 2.

„ლელო" კომენტარისთვის გურიის გუბერნატორ **მიხო სვიმონიშვილსაც** დაუკავშირდა. რეგიონის პირველკაცი **ნოდარ ახალკაცის** მხარდაჭერას ითხოვდა, მაგრამ ჩხაიძემ მაშინ გუბერნატორს არ დაუჯერა. დღეს სახელისუფლო კულუარებში ამბობენ, რომ გრფფ-ის შეფი ამის გამო დაისჯება. *„ეს საფეხბურთო საკითხია და საიდან ვიცი, სად ჩატარდება ყრილობა. ან ვინ გახდება პრეზიდენტი. შეიძლება, თუ დამიძახეს, ყრილობაზე მივიდე... არა, უფრო არ მივალ!"* — უთხრა „ლელოს" სვიმონიშვილმა.

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

ლეგიონერი

# ჯაკობია ხარკოვში მოემზადება

კიევის "არსენალი" ქართველებისთვის საინტერესო ბოლო წლებში გახდა. **შალვა აფხაზავას** შემდეგ, უკრაინელ მეთოფეთა ფორმა ბევრმა ქართველმა წარმატებით მოირგო. ახლა კი გუნდის კაპიტანი **ლაშა ჯაკობიაა**.

სეზონის დასასრულს კიევური კლუბი უკრაინელმა ბიზნესმენმა **ვადიმ რაბინოვიჩმა** შეიძინა და გამოაცხადა, რომ კლუბში მხოლოდ რვა მოთამაშე რჩებოდა. მათ შორის ვერ ამოვიკითხეთ **ლაშა ჯაკობიას** გვარი, რომელმაც მანამდეც გვითხრა - შესაძლოა, ხარკოვის "მეტალისტს" დავუბრუნდეო.

ლაშა თბილისშია და გუშინ გავესაუბრეთ: *"ნამდვილად ვერ მოვხვდებოდი ამ რვაკაციან სიაში, რადგან "არსენალმა" საინტერესო ვერაფერი შემომთავაზა. მთელი სეზონი გუნდი დაშლის პირას იყო. გუნდი უმდიდრესმა ადამიანმა იყიდა და ბუნებრივია, ახალი მეპატრონის მოსვლა ყველას გაგვიხარდა, ვიფიქრეთ, გვეშველა-თქო. თუმცა იმედები არ გაგვიმართლა. უკეთესობას ვინ ჩივის, ხელფასების შემცირება გადაწყვიტა და დარჩენა აღარ ვისურვე. "არსენალში" ისეთი ცუდი ვითარებაა, ბევრი ფეხბურთელი გაიქცა, მათ შორის, სერგეი ზაკარლიუკაც, რომელიც "არსენალისთვის" შეუცვლელი ფიგურაა. მწვრთნელმა და პრეზიდენტმა დღეს ხუთჯერ დამირეკეს, ხელფასს აღარ შეგიმცირებთო, მაგრამ მათი წინადადება ჩემთვის მიუღებელია. საერთო ენა ვერ გამოვნახეთ. სხვა თუ არაფერი, ლიდერები თუ დაგვტოვებენ, ჩემს დარჩენას აზრი აღარ ექნება."*

ლაშამ შესაძლო სიახლეც არ დაგვიმალა: *"ხარკოვის "მეტალისტში" დაბრუნება შემომთავაზეს. გუნდი უეფას თასზე ითამაშებს, ძლიერდება, ამბიციაც გაეზარდა და შეიძლება, დავბრუნდე. რაც მთავარია, ახალი ორწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს. მოვაწერ თუ არა ხელს, ჯერ არ ვიცი, მაგრამ მოსამზადებელ ეტაპს "მეტალისტში" გავივლი - გუნდი ტრუსკოვეცში 29 ივნისს იკრიბება. სიმართლე გითხრათ, ჯერ ფეხს ვითრევ, რადგან დიდად არც "მეტალისტში" ორი წლით თამაშის პერსპექტივა მხიბლავს."*

ლაშამ სხვა დაინტერესებული გუნდებიც დაგვისახელა - ლუგანსკის "ზარია", "ხარკოვი" და რუსული პრემიერლიგის კლუბები. თუმცა რუსეთზე საუბარი თავად არ ისურვა. ჯაკობია საბოლოო არჩევანს ერთ კვირაში გააკეთებს.

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა


იუბილე

ამირან მინაშვილი 50

# ეს ბიჭი საინტერესოდ თამაშობსო...

ქართულ ფეხბურთში გამორჩეული მოთამაშეები ყოველთვის იყვნენ, მაგრამ ყველაზე დიდხანს წარმატებებით ნოდარ ახალკაცის დროინდელი "დინამო" გვახარებდა და გვანებივრებდა. მაშინდელი "დინამო" საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე ნებისმიერ მეტოქეს შიშის ზარს სცემდა; ამის წინაპირობა კი, მართლაც ჩინებული თანხვედრა იყო - გენიალური მწვრთნელი და ერთიმეორეზე ნიჭიერი ფეხბურთელები. სტაჟიან ქომაგებს უთუოდ ემახსოვრებათ მაშინდელი "დინამოს" სწრაფი და მაღალტექნიკური ნახევარმცველი ამირან მინაშვილი; ფეხბურთელი, რომელიც არნახული კონკურენციის პირობებში ყოველთვის მზად იყო ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე ჩვეული "განავარდება" მოეწყო და მერე, ყოველივე ზუსტი და ძლიერი დარტყმით დაეგვირგვინებინა. სამწუხაროდ, ფატალური უიღბლობის გამო ამირან მინაშვილმა "დინამოში" მხოლოდ 5 წელი ითამაშა; ისე, როგორია, როცა საყვარელ საქმეს 23 წლის (!) ასაკში ჩამოშორდები...

...ამირან მინაშვილს დღეს ლამაზი იუბილე აქვს - 50 წელი შეუსრულდა. ჰოდა, ჩვენს ერთობ საინტერესო რესპონდენტს იმ ლამაზი მოგონებების გახსენება ვთხოვეთ...





ბედნიერესი კაცი ვარ, ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ თაობასთან ერთად რომ ვთამაშობდი. როცა ჩივაძის, ხინჩაგაშვილის, ყიფიანის, გუცაევის, დარასელიასა და შენგელიას გვერდით ასპარეზობ, როცა მწვრთნელად ნოდარ ახალკაცი გყავს, ეს ნიშნავს, რომ ხუთი წელი ყველაზე ტიტულოვან აკადემიაში ისწავლო.

**- იმ პერიოდში ფეხბურთელი როგორი ნიჭიერიც არ უნდა ყოფილიყო, "დინამოში" მოხვედრა ნამეტნავად რთული იყო.**

- გეთანხმებით, რთულიც იყო და უდიდესი პატივიც. 13 წლამდე სამტრედიაში ვიზრდებოდი და მერე გადმოვედი გლდანის სპორტინტერნატში, სადაც ავთანდილ ვარდიაშვილისა და თენგიზ ხვადაგიანის ხელმძღვანელობით დავიწყე თამაში. ამას კი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში მიწვევაც მოჰყვა და სხვათა შორის, საკავშირო "სიჭაბუკის თასზე" ორჯერ ზედიზედ გავიმარჯვეთ. ჩათვალეთ, რომ ეს იყო ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ტოლფასი გათამაშება - საქართველოს ნაკრები უპრობლემოდ ამარცხებდა უკრაინის, რუსეთისა თუ ბელარუსის ნაკრებებს.

**- "დინამოშიც" ჭაბუკთა ნაკრებიდან მოხვდით?**

- დუბლშემადგენლობაში მოხვედრაზეც არაერთი სინჯი უნდა გაგვევლო. ერთ-ერთი შერჩევისას, კარგად მახსოვს, ქართული ფეხბურთის ლეგენდის ბორის პაიჭაძის სიტყვები გადმომცეს - ეს ბიჭი საინტერესოდ თამაშობსო. ეს ჩემთვის ყველაფერს ნიშნავდა... "დინამოში" კი ჩავირიცხე, მაგრამ დუბლებისთვისაც პატარა ვიყავი ასაკით და გამოცდილების მისაღებად სამტრედიის "ლოკომოტივში" გამგზავნეს, რომელიც მაშინდელ საკავშირო მეორე ლიგაში ასპარეზობდა.

**- იქ რამდენი ხანი დაყავით?**

- წელიწადნახევარი ვიყავი და მართლაც, უდიდესი გამოცდილება მივიღე ისეთი პარტნიორების გვერდით რომ ვთამაშობდი, როგორებიც იყვნენ დევიზ დარჯანია, კარლო კალაძე (კახა კალაძის მამა), ბადრი ქარქაშაძე, ბიძინა თოდაძე, ტარიელ დვალიშვილი, ანატოლი მესიაჩენკო. დადებითი როლი ითამაშა მთავარმა მწვრთნელმაც - ჯუმბერ ხაჟალიასგან არაერთი საფეხბურთო ეშმაკობაც ვისწავლე...

**- და ისევ "დინამო", სადაც უკვე ახალკაცის ხელმძღვანელობით დაიწყეთ თამაში.**

- შესაძლოა, მაშინ ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ვიტყვი, თუ რა დონის მწვრთნელთან ვმუშაობდი. ფაქტობრივად, ჩემში ხდებოდა ყოველდღიური ზრდა, თანაც ყველა კომპონენტში - ტექნიკაში, ტაქტიკაში, ფიზიკურ მომზადებასა თუ ფსიქოლოგიაში. ამას ემატებოდა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორიც - რა დონის ვარსკვლავების გვერდით ვვარჯიშობდი!

**- მაშინ "დინამოს" ორი სრულფასოვანი შემადგენლობა ჰყავდა...**

- ეს, მართლაც, საოცარი კონკურენცია იყო - ორი კი არა, სამი შემადგენლობაც გამოვიდოდა. აი, დღესაც შემიძლია გაჩვენოთ ფოტო, სადაც 1978 წლის "დინამოს" დუბლშემადგენლობაა აღბეჭდილი. მაშინ დუბლებიც ჩემპიონები გავხდით და შეხედეთ, რა შემადგენლობაა: გაბელია, დურგლიძე, ხიზანიშვილი, ჭილაია, მუჯირი, მინაშვილი, კოპალეიშვილი, თავაძე, ჯოხაძე, კაკილაშვილი, ჩელებაძე! ეგ კი არა, შეიძლება კითხვა მე დაგისვათ?

**- ბრძანეთ...**

- თქვენი აზრით, დღევანდელი "დინამო" რომ შეხვედროდა მაშინდელ ჩვენს დუბლშემადგენლობას, ვინ მოიგებდა?

**- თუ არ მიწყენთ, ამ კითხვაზე პასუხს თავს ავარიდებ და მინდა, რომ ძირითადში თქვენი სადებიუტო გოლი გაიხსენოთ.**

- ტაშკენტის "პახტაკორთან" ვთამაშობდით თბილისში და შეცვლაზე შემოსულმა დუბლი შევასრულე. თანაც, ორივე გოლი სამწუთიან მონაკვეთში გავიტანე და აბსოლუტურად იდენტური გამოვიდა: ორივეჯერ მარჯვენა ფლანგიდან მეკარისაგან შორეულ კუთხეში გავგზავნე ბურთი.

**- გვახსოვს, დუბლი შემდეგ სეზონშიც შეასრულეთ, ამჯერად ლენინგრადის "ზენიტთან".**

- ეს თამაში ჩემთვის ყოველთვის დარჩება ერთ-ერთ ტკბილ მოგონებად; ამას გარდა, მთელმა გუნდმა რაღაც განსხვავებული ალმაფრენით ითამაშა, დათო ყიფიანი ხომ საერთოდ შეუდარებელი იყო... მეტოქემ პრესინგი შემოგვთავაზა, სისწრაფეში აგვყვა, ზონები მოაშუშვლა და ჩვენც მეტი რა გვინდოდა - დიდი ანგარიშით (5:1) გავანადგურეთ ერთობ ძლიერი მეტოქე.

**- იმ წლის დასაწყისში "დინამოს" არგენტინული ტურნეც გაიხსენოთ.**

- ჩვენ ჩავედით მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის ქვეყანაში, სადაც უკვე ახალი ვარსკვლავის - დიეგო მარადონას ზეობა იწყებოდა. მასპინძლებისთვის მოულოდნელზე მეტი აღმოჩნდა ჩვენი ტექნიკური შესაძლებლობები - მათთვის საბჭოთა კავშირის ყველა წარმომადგენელი ხომ რუსებთან იყო გაიგივებული. 20 დღეში ხუთი მატჩი ჩავატარეთ, თანაც მეტისმეტად სოლიდურ და ძლიერ გუნდებთან ("ბოკა ხუნიორსი", ველეს სარსფილდი", როსარიო სენტრალი"). შედეგიც დადებითი გვქონდა და ადგილობრივი ქომაგისგანაც ტაში არ დაგვკლებია.

**- 1980 წელს "დინამოს" კიდევ ბევრი საერთაშორისო მატჩის ჩატარება მოუწია, თუმცა ერთი მაინც განსაკუთრებული იყო...**

- ალბათ, ესპანეთის ოთხთა ტურნირზე ბრაზილიურ "ფლამენგოსთან" შეხვედრას გულისხმობთ. ეს იყო ორი ჩინებული გუნდისა და ორი ვარსკვლავის დაპირისპირება. მერწმუნეთ, არ ვაჭარბებ... აქეთ - დათო ყიფიანი, იქით - ზიკო! მეორე დღეს ესპანური პრესა წერდა, რომ ორი ღირსეული გუნდის და ორი დიდი ფეხბურთელის მონაწილეობით დადგმული სანახაობა იხილა...

**- ბატონო ამირან, ხანდახან გვსმენია, რომ მაშინდელი საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ჩინოსნები ქართველებს არ სწყალობდნენ.**

- აბსურდად მიმაჩნია - მურთაზ ხურცილავა და ალექსანდრე ჩივაძე წლების განმავლობაში იყვნენ საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტნები; ნიკიტა სიმონიანის მწვრთნელობის დროს ნაკრების ძირითადში 7-8 ქართველი თამაშობდა; იგივე ხდებოდა სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებშიც. ჩვენ მიმართ განსაკუთრებით თბილად კი ევგენი ლიადინი და სერგეი მოსიაგინი იყვნენ. სწორედ მოსიაგინი იყო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი, როდესაც თბილისში გერმანელ თანატოლებთან ფრედ ვითამაშეთ. ჩემ გარდა ძირითადში რეზო ჩელებაძე, თამაზ კოსტავა და ნუკრი კაკილაშვილი იყვნენ.

**- მწვრთნელები ახსენეთ და ნოდარ ახალკაცზეც გვითხარით.**

- ეს იყო უაღრესად განათლებული, თეორიულად ძლიერად მომზადებული და ტაქტიკურად განსწავლული პიროვნება. აი, იმ "დინამოს" ხომ ჰყავდა ფეხბურთელი-ლიდერი დათო ყიფიანის სახით, მეორე ლიდერი... ნოდარ ახალკაცი იყო. საერთოდაც, გუნდს მწვრთნელი-ლიდერი სჭირდება, ხასიათის სიმტკიცე რომ ექნება, შეგირდებში უზომო ავტორიტეტი, ყველა ვარჯიშზე ახალი იდეებით რომ მივა... მოკლედ, ნოდარ ახალკაცი რომ იყო...

**- ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდმა გამარჯვებამ - 1981 წლის ტრიუმფმა უთქვენოდ ჩაიარა.**

- 1980 წელს უკვე ძირითადის ფეხბურთელი ვიყავი და მუდმივი მაისურაც მქონდა. სამწუხაროდ, მენისკის ოპერაციის გამო მთელი წელი გამიცდა. არ შევეპუე, ვარჯიში დავიწყე და ახალი სეზონისათვის ვემზადებოდი. 1982 წლის 2 იანვარს შეკრებაზე მოვიჩქაროდი - შვილი შემეძინა და მშობლებს სამტრედიაში ჩავუყვანე, იქიდან რომ ვბრუნდებოდი, იგოეთთან მანქანა მომიცურდა და საშინელ ავარიაში მოვყევი. ისე დავიმტვერი, ლუდუშაურის კლინიკაში "ამაწყვეს", ჩემი საფეხბურთო კარიერაც ასე დასრულდა...

**- მერე სად მოღვაწეობდით?**

- კახი ასათიანის რეკომენდაციით გლდანის ოლიმპიური რეზერვის სკოლის დირექტორად დავინიშნე. ანუ, მივედი იქ, სადაც დავიწყე ფეხბურთის თამაში. ჩემი ინიციატივით დავაფუძნეთ საფეხბურთო კლუბი "იმედი", რომლის მწვრთნელიც თემურ მახარაძე იყო. სხვათა შორის, ამ გუნდში თამაშობდნენ ვახტანგ ხვადაგიანი და ხვიჩა შუბითიძე. ამასობაში ბიჭიც წამოიზარდა, ვახტანგ კოპალეიშვილთან ვარჯიშობდა და გადავწყვიტე 16 წლის ასაკში უცხოეთში წამეყვანა. ასე აღმოვჩნდი მექსიკაში...

**- მაგ თემაზე ჩვენც ვაპირებდით კითხვას. მექსიკაში რას აკეთებდით?**

- გიორგი მექსიკის ყველაზე მდიდარ და პოპულარულ კლუბში "ამერიკაში" მოეწყო სტაჟირებაზე. იქ გავიცანი მსოფლიო დონის მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი, რომელისგანაც ძალიან ბევრი რამ შევისწავლე. თვითონ მითხრა, მე ნაკრების მწვრთნელად ვარ დაბადებული და დამეთანხმებით, თუ რამდენ ქვეყანაში დაამტკიცა კიდეც. ასევე გავიცანი და დავმეგობრდი მექსიკის ნაკრების ყოფილ მწრთნელთან რაულ კარდენიასთან, რომლის უშუალო რეკომენდაციით დავინიშნე ნახევრადპროფესიული გუნდის "რაბოკსის" მთავარ მწვრთნელად. მექსიკაში თითქმის ორი წელი ვიყავით, მაგრამ გიორგიმაც მძიმე ტრავმა მიიღო და საქართველოში დავბრუნდით.

**- თქვენი ვაჟი ამჟამად რას საქმიანობს?**

- გიორგი ამჟამად ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის მწვრთნელთა სკოლაში სწავლობს. ერთი ლიცენზია უკვე აქვს - 16 წლამდე ასაკის გუნდებში მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შეუძლია მწვრთნელობა. ახლა კი უფრო მაღალი კატეგორიის სერთიფიკატსაც მიიღებს, პარალელურად, მიწვეულია ნახევრად პროფესიულ გუნდ "ლონდონს თაიგერში"მწვრთნელის ასისტენტად. სხვათა შორის, ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი ვალდას დაბრაუსკასი "მანჩესტერ იუნაიტედის" ბავშვთა აკადემიაშიც მუშაობს.

**- თქვენზეც გვითხარით - ბოლოს თბილისის "ლოკომოტივს" წვრთნიდით...**

- ვთვლი, რომ ამ გუნდში წარმატებულად ვიმუშავე. ჩავიბარე დაშლილი, უმოტივაციო გუნდი და, ალბათ, გიორგი კიკნაძესთან ერთად, ჩემი დამსახურებაც იყო "ლოკომოტივმა" უმაღლესში ადგილი რომ შეინარჩუნა.

**- ისევ მწვრთნელობას აპირებთ?**

- ალბათ, აღარ - უფრო მენეჯერულ ფუნქციებს შევასრულებ. აი, ახლაც სამ ქართველ ფეხბურთელს ვეხმარები უცხოეთში რომ გააგრძელონ კარიერა.

**- ფეხბურთელთა გვარებს ვერ დაგვისახელებთ?**

- გვარებს, მომიტევეთ და, ვერ დავასახელებ, ქვეყნებს კი სიამოვნებით - რუმინეთი, ლიტვა, გერმანია. თუმცა ჩემი მთავარი მიზანიც, სურვილიცა და, საერთოდ, ყველაფერი, უფრო სხვა საქმე არის. სამტრედიაში დავიბადე, ფეხბურთის სიყვარულიც იქიდან გამომყვა და ახლა მინდა, რომ ჩემს მშობლიურ რაიონში ბავშვთა ფეხბურთი ავაღორძინო. მით უმეტეს, რომ სამტრედიელ პატარებს მისაბაძი პიროვნება ჰყავთ კახა კალაძის სახით.

**- დაბოლოს, დღევანდელ ქართულ ფეხბურთზეც გვაინტერესებს თქვენი აზრი.**

- ქართული ფეხბურთი არასდროს უჩიოდა ნიჭიერ ფეხბურთელთა სიმცირეს. თაობას თაობა მოსდევდა, მაგრამ სამი-ოთხი გამორჩეული ვარსკვლავი ყოველთვის მოიძებნებოდა. თანაც, "დინამოს" ყოველთვის ჰყავდა ლიდერები, ვის გარშემოც "კეთდებოდა" კიდეც გუნდი. სამწუხაროდ, დღეს ქართულ ფეხბურთს ლიდერი არ ჰყავს. მაგრამ, ესეც არ უნდა გაგვიკვირდეს, რამეთუ უცნაურ რეალობას ვაწყდებით ყოველდღიურად: პროფესიონალები კამათობენ და მსჯელობენ, გადაწყვეტილებას კი... სხვები იღებენ!

**გია ტუხაშვილი**

## სამარელთა ქართველი გმირი

"კრილიასა" და ცსკა-ს მატჩის პირველ ტაიმში **დავით მუჯირმა** ულამაზესი გოლი გაიტანა. ეს შეხვედრის ერთადერთი ბურთი აღმოჩნდა, სამარელებმა რუსეთის ჩემპიონებს სძლიეს და ბუნებრივია, ქართველი ნახევარმცველი მაშინვე მოექცა პრესის ყურადღების ცენტრში. მუჯირი ძველ მეგობართან, ბოსნიელ **მარკო ტოპიჩთან** ერთად, 6,5 შეფასებით, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. აქვე ჩვენს თანამემამულესთან შეხვედრის დასრულებისთანავე ჩაწერილ ინტერვიუსაც გაეცანით.

**- ცსკა-სთან მატჩი „კრილიასთვის" ალბათ, განსაკუთრებული იყო.**

- დიახ, მაგრამ მანამდე „ყუბანთან" დაპირისპირებასაც უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებდით. გამარჯვების შემთხვევაში ხომ პირველ ადგილზე გადავდიოდით. თუმცა, ბუნებრივია, არმიელებთან შეხვედრაც არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ.

**- საკუთარ თამაშს როგორ შეაფასებთ?**

- გასულ კვირაში ფეხი მაწუხებდა, რის გამოც ორი დღე არ მივარჯიშია. ამის გამო, ცსკა-სთან თამაშის მიწურულს გადავიღალე, მაგრამ ამის მიუხედავად ყველანაირად ვეცადე, მწვრთნელის დავალებები პირნათლად შემესრულებინა.

**- ამ სეზონში „კრილიამ" ცსკასთან უკვე სამი მატჩი გამართა. ყველაზე მეტად არმიელებთან როდის გაგიჭირდათ?**

- ძნელი სათქმელია, ასეთ ძლიერ მეტოქესთან ჭიდილი ყოველთვის რთულია.

**- არ გაგიკვირდათ, გოლის ეპიზოდში ცსკა-ს საჯარიმოში ბურთი თავისუფლად რომ მიიღეთ?**

- თავისუფლად ნამდვილად არ მიმიღია, რადგან მეტოქის ერთი ფეხბურთელი მოვატყუე. ისე კი, მე და ჩემი თანაგუნდელები იმ ეპიზოდში რიცხობრივ უპირატესობაში ვიყავით, მოსკოველებმა საკუთარ საჯარიმოში დროულად დაბრუნება ვერ მოასწრეს. ბედნიერი ვარ, ჩემს გუნდს ასეთი მნიშვნელოვანი თამაში რომ მოვაგებინე.

## აშვეთია: გეზი რუსეთისკენ

„კარლ ცაისიდან" წამოსვლიდან დიდი ხანი არ გასულა და **მიხეილ აშვეთია** უკვე ახალი გუნდის ძიებაშია. უახლოეს დღეებს იგი თბილისში გაატარებს, შემდეგ კი, სავარაუდოდ, რუსეთში გაემგზავრება და რომელიმე იქაურ კლუბთან გააფორმებს კონტრაქტს. აქამდე საქართველოს ნაკრების ფორვარდის ერთადერთი რეალური მსურველი მახაჭყალის „ანჟი" იყო.

*„დიახ, „ანჟი" ჩემი გადაბირებით რეალურადაა დაინტერესებული, თუმცა სხვა ვარიანტებიც მაქვს, რომელთა დასახელებისგანაც დღეს თავს შევიკავებ. ჩემი აგენტი რუსული პრემიერლიგის კლუბებთანაც აწარმოებს მოლაპარაკებას. ერთი სიტყვით, არჩევანი ნამდვილად მაქვს. ყველაფერს მალე გადავწყვეტ, სად გავაგრძელებ კარიერას, ამას დაახლოებით ათიოდ დღეში შეიტყობთ. დანამდვილებით ჯერ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ რუსეთში ვაპირებ თამაშს",* - გვითხრა აშვეთიამ.

შეგახსენებთ, „კარლ ცაისში" მან ნახევარი წელი გაატარა, მანამდე კი ყაზანის „რუბინის" ღირსებას იცავდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ანალიზი

# ევროპა შეტევაზე გადადის

## თამაშს დაცვა იგებს, შეტევა კი ბილეთებს ყიდის. გაძეტა დელო სპორტმა საუკეთესო თავდასხმის მქონე ევროპული გუნდები დაახარისხა

რომელ ევროპულ გუნდს ჰყავს ყველაზე ძლიერი თავდასხმა? მოდით, დავსვათ სრულიად პათეტიკური კითხვა და წამყვან კლუბებს თვალი გადავავლოთ. ბოლოს კი დასკვნები გამოვიტანოთ. "ბარსელონამ" ანრი შეიძინა, "ბაიერნში" ტონი და რიბერი გადავიდნენ, "მანჩესტერ იუნაიტედმა" ნანი და ანდერსონი გადაიბირა. მოკლედ, გრანდები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მათი შეტევა მრავალფეროვანი, ეფექტური და პროდუქტიული იყოს. ამ თვალსაზრისით, ბებერ კონტინენტზე 13 გუნდი გამოირჩევა. ყველასთვის თვალსაჩინოა, რომ თავდასხმას ყველაზე დიდ ყურადღებას სწორედ ისინი უთმობენ. ამერიკაში ერთი გამოთქმაა - თამაშებს დაცვა იგებს, ბილეთებს კი შეტევა ყიდის. გულშემატკივრებს ისღა დარჩენიათ, იოცნებონ და იმედი იქონიონ, რომ მომავალი სეზონი უფრო წარმატებული იქნება. 13 მოწინავე გუნდის გენერალური დირექტორები შემოქმედებით სამუშაოს აწარმოებენ. ისინი ღამეებს იმისთვის ათენებენ, რომ სხვებმა არ დაასწრონ და სასურველი ბიჭები თავიანთ გუნდებში ჩაიყვანონ. იტალიური "ლა გაზეტა დელო სპორტი" აღნიშნულ თემაზე ვრცელ სტატიას, დირექტორების ფიქრებზე კი ერთ-ერთი ზღაპრის გმირის სიტყვების თანამედროვე პერიფრაზს გვთავაზობს: "სარკევ, სარკევ, მითხარი, ვის ჰყავს ჩემზე უკეთესი თავდასხმა"? გასული სეზონის სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, საუკეთესოთა შორის საუკეთესო "მანჩესტერ იუნაიტედია". სერ ალექს ფერგიუსონის ბიჭებმა პრემიერლიგაში 83 გოლი გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ წითელი ეშმაკები მრავალფეროვნებითა და სანახაობრივი ფეხბურთით გამოირჩეოდნენ. ურთულესი სიტუაციებიდან ამდენად მარტივ გამოსავალს მხოლოდ "ფლეი სტეიშენის" კომპიუტერულ თამაშებში თუ ვიხილავთ...

### ინტერი

მოდით, იტალიის ჩემპიონით დავიწყოთ. "ნერაძურიმ" გასულ სეზონში 80 გოლი გაიტანა. სერია A-ში ასეთი თავდასხმა არავის ჰყოლია. მილანური გრანდის უპირველესი არტილერისტი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** იყო. ის მართლაც ფანტასტიკური ფეხბურთელია. შვედი ფორვარდი ორთაბრძოლების 80 პროცენტს მისთვის სასარგებლოდ ასრულებს და გოლები საკმაოდ ხშირად გააქვს. შესაძლოა, "ინტერს" მომავალ სეზონში **სუასოც** დაეხმაროს. მართალია, მასთან დაკავშირებით სკანდალური სიტუაციაა შექმნილი, მაგრამ იტალიური გუნდის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ პრობლემა მოგვარდება და ახალწვეული იბრაჰიმოვიჩს შეუწყვილდება. შარშან სუასომ "კალიარიში" თამაშისას 14 ბურთი შეაგდო. გულშემატკივრებმა მას ოპორტუნისტი და რაკეტა შეარქვეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ "ნერაძურის" კრესპოც ყავს. არგენტინელი, რომელმაც 14 გოლის გატანა შეძლო. ჯერჯერობით, **ადრიანოც** "ინტერშია". ამბობენ, ბრაზილიელი "სან სიროს" მალე დატოვებსო. დაბოლოს, **ხულიო კრუსი**. არგენტინელი თავდამსხმელი, ძირითადად, შეცვლებზე შედიოდა, მაგრამ 7 გოლი მაინც მიითვალა.

**რომა**: დედაქალაქელთა ანგარიშზე 74 გოლია. მიმომხილველები ამბობენ, რომ რომაელებმა არანორმალური შეტევის ხაზის წყალობით გოლების კოოპერატივი შექმნეს. წინა სეზონის გმირი **ფრანჩესკო ტოტი** გახდა. მან ოქროს ბუცი სრულიად დამსახურებულად მოიპოვა. ტოტის თანაკლუბელთა მონაგარი ბევრად უფრო მოკრძალებულია. **პეროტას** ანგარიშზე 8 გოლი მოდის, **მანსინიმ** კი, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა უწევდა, ასევე რვაჯერ იხეირა. სიმართლე ითქვას, "რომაში" ჩამოყალიბებული მექანიზმის შეცვლა წარმოუდგენლად მოჩანს. ალბათ, ეს გუნდი გაისადაც იგივე ფეხბურთს ითამაშებს.

### მილანი

წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა სერია A-ში მხოლოდ 57 გოლის გატანა შეძლო. ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს ძალიან ცოტაა. შარშან **კარლო ანჩელოტის** ბიჭები ხარისხზე აკეთებდნენ აქცენტს. ისინი წინასწარვე აცნობიერებდნენ, რომ დამსჯელი სანქციების გამო, იტალიის ჩემპიონატში ვერ გაიმარჯვებდნენ, ამიტომ მთლიანად ლიგაზე გადაერთვნენ. ბუნებრივია, მომავალ წელს ასე აღარ იქნება. **რონალდო** ახალი თავგადასავლებისთვის კარგად მოემზადება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბრაზილიელი "მილანისთვის" ახალი განძია. **ჯილბერტო ჯილარდინო** 12 გოლით "მილანის" საუკეთესო ბომბარდირი იყო. მან **ინძაგისაც** აჯობა, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. "როსონერის" შეტევა, რა თქმა უნდა, **კაკას** კარგ თამაშზეა დამოკიდებული. ბრაზილიელ ვარსკვლავს უამრავი კლუბი ეპატიჟება, მაგრამ **სილვიო ბერლუსკონი** მას არ გაყიდის. ასე რომ, კაკა შემდეგ სეზონშიც უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს. სხვათა შორის, ჩემპიონთა ლიგაში მან მილანელთაგან ყველაზე მეტი ბურთი შეაგდო. შესაძლოა, გუნდი **ოლივეირამ** დატოვოს და მის ნაცვლად "სან სიროზე" **სამუელ ეტოო** ჩაიყვანონ. თუ მოვლენები სწორედ ამგვარად განვითარდება, "მილანის" თავდასხმა ერთ-ერთი უძლიერესი იქნება.

### იუვენტუსი

"ბებერი ქალბატონი" ელიტარულ ლიგაში ბრუნდება. დასჯილმა გუნდმა სერია B-ში მოწინააღმდეგეთა კარის დალაშქვრა 81-ჯერ შეძლო. **ალექს დელ პიერო** "იუვეს" მთავარი დამრტყმელი ძალა გახლდათ. ამიერიდან მას "უდინეზედან" გადაბირებული **იაკუინტაც** დაეხმარება. ვინჩენცომ ყოფილი კლუბის მაისურით 14 გოლი გაიტანა. სავარაუდოა, რომ ტურინელებს **დავიდ ტრეზეგე** დატოვებს. "იუვენტუსს" ევროპული ფეხბურთის ელიტაში დასაბრუნებლად დიდი შრომა დასჭირდება, მაგრამ ტრადიციებიდან გამომდინარე, თავისუფლად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ "ბებერი ქალბატონი" შეტევაში კვლავ ძლიერი იქნება.

### რეალი

ახლა ყველა ლაპარაკობს, რომ სამეფო კლუბს **ბერნდ შუსტერი** ჩაიბარებს. სიმართლე ითქვას, მისმა "ხეტაფემ" ახლახანს დასრულებულ პრიმერა დივიზიონში გოლების სიუხვით თავი ვერ გამოიჩინა, მაგრამ მიმომხილველები დარწმუნებულები არიან, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" ის სულ სხვა შედეგებს მიაღწევს. "რეალს" ესპანეთის პირველობის საუკეთესო ბომბარდირი **რუუდ ვან ნისტელროი** ჰყავს. ჰოლანდიელმა პრიმერა დივიზიონში 25 გოლი გაიტანა და ჩემპიონობის საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა. პირენეებზე მას გოლების მანქანა შეარქვეს. შუსტერი პირდაპირ ამბობს, თუ სამეფო კლუბს ჩაიბარებს, **რაულს** ცენტრფორვარდის პოზიციაზე დააყენებს. ეს კი მადრიდული გრანდის შემტევ პოტენციალს ერთი-ორად გაზრდის. აღსანიშნავია, რომ "რეალს" **რობინიო** და **იგუაინიც** ჰყავს. ახლა შესაძლოა, **კარლოს ტევესიც** შეიძინონ. რა თქმა უნდა, სამეფო კლუბის მესვეურები ყოველთვის შემტევ ფეხბურთზე გააკეთებენ აქცენტს.

### ბარსელონა

კატალონიელებს ყველაზე კარგად ორგანიზებული თავდასხმა ჰყავთ. ათბალიანი შეფასების სისტემით, მას მაქსიმალურ ქულას უწერენ. მომავალ სეზონში "კამპ ნოუზე" მაგიური კვარტეტი შეიკვრება - **რონალდინიო, ეტოო, ანრი** და **მესი**. დასკვნები თავად შეგიძლიათ გამოიტანოთ. ასეთი შთამბეჭდავი წინა ხაზი ალბათ, მართლაც არავის ჰყავს. ეს ის შემთხვევაა, როცა ტაქტიკა მეორე ან სულაც მესამე ხარისხოვანია. შესაძლოა, ჩამოთვლილმა ოთხმა ფეხბურთელმა ძირითადში ერთდროულად მოხვედრა ვერ მოახერხოს, მაგრამ "ბარსა" ამით ოდნავადაც არ დასუსტდება. **სავიოლას, გუდიონსენს, ჟიულისა** და **სანტი ესპეროს** "კამპ ნოუზე" აღარაფერი დარჩენიათ. მათ ჩანთები უნდა ჩაალაგონ და თავს უშველონ.




ბაიერნმა თავის ევროპელ კონკურენტებს მიბაძა და შეტევა გააძლიერა

### სევილია

ანდალუსიელებმა გასულ სეზონში სამი თასი მოიგეს. ბუნებრივია, ესპანეთის, ევროპის სუპერთასისა და უეფას თასების მოპოვება მძლავრი თავდასხმის გარეშე შეუძლებელი გახდებოდა. სევილიელთა შორის ყველაზე გამორჩეული **ფრედერიკ კანუტე** იყო. სხვათა შორის, აფრიკელ ფორვარდს ხუმრობით ღარიბი კლუბების ანრის უწოდებენ. 30 წლის ასაკში მან კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა. კანუტეს ლეოპარდის სისწრაფე და ვეფხვის აგრესია გამოარჩევს. მოარული ხმების თანახმად, მას ინგლისში გადასვლა სურდა, თუმცა რამდენიმე დღის წინათ თავად ფრედერიკმა განაცხადა, რომ არა წასვლას, არამედ საკონტრაქტო პირობების გაუმჯობესებას ითხოვდა.

### ბაიერნი

მიუნხენურმა გრანდმა ბუნდესლიგაში კრახი განიცადა. ეს ფიასკო იყო და სხვა არაფერი. ბავარიელები ჩემპიონთა ლიგის მიღმა აღმოჩნდნენ. გუნდის მიერ გატანილი სულ რალაც 55 გოლი ანემიაზე მიგვანიშნებს. შარშან "ბაიერნი" სისხლისგან იყო დაცლილი. კლუბის ხელმძღვანელობამ ხელები დაიკაპიწა და გუნდს სისხლი გადაუსხა. "ფიორენტინიდან" ლუკა ტონი გადაიბირეს. ფანებს ყველაზე მეტად ფრანკ რიბერის შეძენა ახარებთ. მართალია, ის ცენტრალური თავდამსხმელი არ არის, მაგრამ ყველას მოეხსენება, რომ ფრანგი ლეგიონერი შეტევაში ძალიან საშიშია. **ული ჰიონესი მიროსლავ კლოზეს** ტრანსფერზე მუშაობს. "ვერდერთან" მოლაპარაკებები წარმატებით თუ დასრულდება, **როი მაკაისა** და **ლუკაშ პოდოლსკის** "ალიანს არენის" დატოვება მოუწევთ.

### შტუტგარტი

გერმანიის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად 61 გოლის გატანა საკმარისი აღმოჩნდა. "შტუტგარტის" ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე ბრაზილიელი **კაკაუ** იყო (13). მას ხშირად გაჰქონდა, მაგრამ ბევრ მომენტსაც აფუჭებდა. 14 გოლით **გომესი** ოდნავ უფრო შედეგიანი აღმოჩნდა. ის სეზონის აღმოჩენად შეირაცხა. წარმოშობით ესპანელ მარიო გომესს გერმანიის ნაკრებშიც უხმეს. მისგან გუნდის ხელმძღვანელები კიდევ უფრო მეტს ელიან. "შტუტგარტის" ბოსებმა **ლაუთი** ჰამბურგში დააბრუნეს. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოური კლუბიდან ის იანვარში გადაიბირეს და მხოლოდ რამდენიმე თვით შეიფარეს.

### მანჩესტერი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, "მანჩესტერ იუნაიტედმა" გასულ სეზონში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა. პრემიერლიგაში 83 ბურთის შეგდება ხუმრობა სულაც არ არის. ფერგიუსონის ბიჭები კი არ დარბოდნენ, არამედ დაფრინავდნენ. "წითელი ეშმაკები" მიღწეულით არ კმაყოფილდებიან და მომავალ სეზონში უფრო შთამბეჭდავი შედეგის მიღწევას აპირებენ. ამ მიზნით ინგლისურმა გრანდმა ახალგაზრდა პორტუგალიელი **ნანი** გადაიბირა. "პორტუმ" "მანჩესტერს" **ანდერსონიც** დაუთმო. ჟურნალისტები დარწმუნებულები არიან, რომ მათი დახმარებით **კრისტიანო რონალდო** მეტ თავისუფლებას მოიპოვებს და მოწინააღმდეგეთა დაცვას აიკლებს. შარშან რონალდომ 17-ჯერ შეაგდო. **რუნიმ** კი 14-ჯერ გამოიჩინა თავი. თუ კვალიფიციურ ექსპერტთა პროგნოზს გავითვალისწინებთ, ერთი წლის შემდეგ ახალგაზრდა მანჩესტერელები ბევრად შთამბეჭდავი მაჩვენებლით მოიწონებენ თავს.

### ჩელსი

ლონდონელებმა 64 გოლი მოაგროვეს. ცოტა არ არის, თუმცა ისიც ფაქტია, რომ "ჩელსის" გაცილებით მეტი შეეძლო. **დროგბას** მონდომება და 20 ბურთი უმაღლესი მწვერვალების დასაპყრობად საკმარისი არ აღმოჩნდა. **ჟოზე მოურინიომ** "ბაიერნიდან" **პისარო** დაიმატა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **ანდრეი შევჩენკო** "სტემფორდ ბრიჯზე" დარჩება. ლონდონელ გულშემატკივრებს უკრაინელი ძალიან უყვართ და მოურინიოს იმის საშუალებას არ მისცემენ, რომ ვეტერანი ფორვარდი "მილანში" დააბრუნოს. მოარული ხმების თანახმად, "ჩელსის" დირექტორატი "პორტუ ალეგრესთან" 17 წლის **პატოს** ტრანსფერზე ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. მოურინიო დარწმუნებულია, რომ თინეიჯერ ფორვარდს უდიდესი მომავალი ექნება.

### ლივერპული

**რაფა ბენიტესის** ბიჭებმა პრემიერლიგაში, მხოლოდ და მხოლოდ, 57 გოლი გაიტანეს. ამ მოკრძალებულ მონაგარს მიმომხილველები ესპანელი მწვრთნელის ზღვარსგადასული პრაგმატულობით ხსნიან. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ბენიტესი ინგლისის პირველობაზე მეტად ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაზე ფიქრობდა. გაისად მას ორივე ფრონტზე მონდომებით ბრძოლა მოუწევს. "ლივერპული" შემადგენლობის გაძლიერების მიზნით 24-საათიანი რეჟიმით მუშაობს. შესაძლოა, ინგლისურ კლუბში **ფერნანდო ტორესი** გადავიდეს. ბენიტესმა ჯერჯერობით, მხოლოდ ლევერკუზენელი **ვორონინი** გადაიბირა.

### ლიონი

საფრანგეთის ჩემპიონებს სერიოზული პრობლემები დიდი ხანია არ შექმნიათ. **ჟუნინიო პერნამბუკანო** შესანიშნავ ფორმაში იყო. ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ათი გოლი გაიტანა. ამდენივე ბურთი შეაგდო **მალუდამ, ფრედმა** კი 11-ჯერ იხეირა. "ლიონი" მომავალ სეზონშიც ავანგარდში იდგება. ამ გუნდს ისეთი ფეხბურთელებიც ჰყავს, როგორებიც **გოვუ, კეიტა** და **ვილტორი** არიან.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### ადრიანო: დარჩენა უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ადრიანო** აცხადებს, რომ "ინტერში" სიამოვნებით დარჩებოდა. ის ფიქრობს, რომ ამით მადლობას გადაუხდის **მასიმო მორატის** იმ ნდობისთვის, რასაც პრეზიდენტი მის მიმართ იჩენს. თუმცა ბრაზილიელს ისიც კარგად ესმის, რომ იგივე მორატი არც ტრანსფერზე იტყოდა უარს, პირველ რიგში, მისი უდისციპლინობის გამო. მოგეხსენებათ, ადრიანოს ყიდვა "ჩელსისა" და "რეალს" სურთ. ფეხბურთელი ყველაფრისთვის მზადაა, თუმცა კლუბის მიმართ ერთი სათხოვარი აქვს:

*"თუ მათ უნდათ, რომ დავრჩე, მაშინ, ამისთვის მზად ვარ. სიამოვნებით! მინდა, რომ "ინტერი" ჩემი სახლი გახდეს. მაგრამ თუ მაინც გადაწყვეტენ, რომ გამყიდონ, ამასაც გავიგებ, მაგრამ თხოვნა მექნება - იტალიაში დარჩენა მინდა და რომელიმე აქაურ კლუბში ვითამაშებდი. მსურს, ჩემი მომავალი თავადვე ავირჩიო".*

### კივუ მორატის შეხვდა: უფრო ინტერი?

**კრისტიან კივუ** მისი მომავლის დროულად გარკვევას ითხოვს. მოგეხსენებათ, რუმინელ მცველზე "ინტერსა" და "ბარსელონას" აქვთ პრეტენზიები. ამაზე ბევრი დაიწერა და თავს აღარ შეგაწყენთ. გუშინ, კივუ და მისი აგენტი **ჯოვანი ბეკალი** მილანში გაფრინდნენ, სადაც **მასიმო მორატის** უნდა შეხვედროდნენ. "ინტერის" ახალი წინადადება 11 მილიონი ევროა. ამ დროს კი, "ჯალოროსი" "ბარსელონასთან" ინტენსიურ მოლაპარაკებებშია ჩართული.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია ხსენებული შეხვედრის შედეგების თაობაზეც. კივუმ განაცხადა, რომ "ინტერში" თამაში უნდა, და არა "ბარსელონაში". როგორც ჩანს, მორატიმ რუმინელი კარგად "დაამუშავა".

### სამპდორიამ კორადი მოიფიქრა

"სამპდორიის" ახალი მწვრთნელი **ვალტერ მაძარი** გულშემატკივრებს ჰპირდება, რომ მის ხელში გუნდი სანახაობრივ ფეხბურთს ითამაშებს. ის წუხს, რომ **ფაბიო კვალიარელა** დაკარგა, ამას გარდა, დოპინგის გამო დისკვალიფიცირებულია **ფრანჩესკო ფლაკი**, **ფაბიო ბაძანი** კი "ბრეშაში" მიდის... მაძარი დარწმუნებულია, რომ კლუბი ახალ ფორვარდს შეიძენს. ეს ფორვარდი კი, ალბათ, **ბერნარდო კორადი** იქნება. "კიევოსა" და "ლაციოს" ექსთავდამსხმელმა გასული სეზონი "მანჩესტერ სიტიში" გაატარა, თუმცა თავი ვერაფრით გამოიჩინა. კორადის იტალიაში დაბრუნება უნდა. ამ სიტუაციაში "სამპი" მისთვის იდეალური ვარიანტი იქნებოდა, თუმცა მისით "ტორინო" და "პარმაც" არიან დაინტერესებულნი.

### რომა: ესპოზიტო დადასტურდა

"კალიარის" გარემარბი **მაურო ესპოზიტო** "რომაში" გადავიდა. კლუბებმა თანამფლობელობის კონტრაქტი გააფორმეს. "ჯალოროსიმ" ფეხბურთელის 50-პროცენტიანი სატრანსფერო წილი 3.5 მილიონ გირვანქად გამოისყიდა, თუმცა გარიგებაში მოხვდნენ აგრეთვე მეკარე **ჯანლუკა კურჩი** და მცველი **დანიელე გალოპა**, რომლებიც კარიერას "კალიარიში" გააგრძელებენ. ესპოზიტომ ბრწყინვალედ ჩაატარა შარშანწინდელი სეზონი და ერთი ხანობა, იტალიის ნაკრებშიც ხვდებოდა, თუმცა მერე მოუკლო, ბოლო ჩემპიონატი კი თითქმის მთლიანად გაუცდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხავიერ ირურეტა

სავარაუდო დანიშვნა

## ირურეტა რასინგში?

ზუსტად ერთი კვირის წინათ, სანტანდერის "რასინგის" დამრიგებელმა, **მიგელ ანხელ პორტუგალმა** თანამდებობიდან წასვლის შესახებ განაცხადა. თავდაპირველად მის მიერ გადადგმული ნაბიჯი ბევრს გაუკვირდა, მაგრამ მეორე დღეს გაირკვა, რომ სენიორ პორტუგალს **რამონ კალდერონმა** სამეფო კლუბის ტექნიკური მდივნის თანამდებობა შეთავაზა. ასე რომ, "რასინგის" მთავარი მწვრთნელის პოსტი ვაკანტური გახდა. სანტანდერელები, რა თქმა უნდა, არ დაუშვებენ, რომ ბიჭები თავკაცის გარეშე დიდხანს დარჩნენ. საქმეს იქამდე უნდა მოეფინოს ნათელი, მანამ ფეხბურთელები შვებულებიდან დაბრუნდებიან. როგორც გაირკვა, კანტაბრიელები "რეკრეატივოს" ყოფილ მთავარ მწვრთნელ **მარსელინიოსა** და **ხავიერ ირურეტასთან** აწარმოებენ მოლაპარაკებას. მარსელინიო "ბეტისსაც" სურს და სავარაუდოა, რომ კარიერას სწორედ ანდალუსიურ კლუბში გააგრძელებს. ამიტომ, ყველაზე რეალურ ვარიანტად ირურეტას კანდიტატურა რჩება. "დიარიო მარკას" ფურცლებზე ვკითხულობთ, რომ ბატონი ხაბო თანახმაა, "რასინგს" ჩაუდგეს სათავეში.

ატლეტიკო

## 30 მილიონი და სისე ტორესის სანაცვლოდ. მარკესიც?

**რაფა ბენიტესი** ბედს არ ეგუება და "ატლეტიკოს" ხელმძღვანელობას ყოველდღე ახალ-ახალ წინადადებებს სთავაზობს. როგორც იცით, "ლივერპულის" დამრიგებელს **ფერნანდო ტორესის** გადაბირება სურს. მადრიდელებმა ის უარით გაისტუმრეს და იქვე განაცხადეს, რომ "ლივერპულის" მიერ შეთავაზებული 30 მილიონი ევრო არანაირად არ ჰყოფნით. არაოფიციალური ინფორმაციით, "როხიბლანკო" საუკეთესო ფორვარდს 40 მილიონ ევროზე იაფად არ შეელევა. წითელი ეშმაკების შეფებს ალნიშნული თანხა ძალიან ეძვირებათ, მაგრამ ბენიტესის კატეგორიულ მოთხოვნას იგნორირებას ვერ გაუკეთებენ. გუშინ ინგლისურ კლუბში საგანგებო შეხვედრა შედგა. საუბარმა კონკრეტული შედეგი გამოიღო. ისინი შეთანხმდნენ, რომ "ატლეტიკოს" "ელ ნინიოს" სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო და **ჯიბრილ სისე** შეთავაზონ. ალსანიშნავია, რომ ბრიტანელებმა ფრანგი ფორვარდი "ოსერიდან" 21 მილიონ ევროდ გადაიბირეს. "ატლეტიკოს" მაშინდელ გენერალურ დირექტორ **ტონი მუნიოსს** სისეს მენეჯერთან გამალებული მოლაპარაკებები ჰქონდა, მაგრამ ესპანელებმა "ლივერპულს" აუქციონი ვერ მოუგეს და ფარ-ხმალი დაყარეს. ბენიტესს იმედი აქვს, რომ "ატლეტიკოს" ჯიბრილისადმი გრძნობები დღემდე არ განელებია. კაცმა რომ თქვას, სისე და 30 მილიონი ევრო ცუდი შეთავაზება არ არის. ექსპერტები **ენრიკე სერესოს** ურჩევენ, წინადადებას დათანხმდეს. თუმცა პრეზიდენტის პასუხი, ჯერჯერობით, უცნობია.

ამასობაში, ასპარეზზე "ატლეტიკოს" მთავარი მწვრთნელი **ხავიერ აგირე** გამოვიდა და ესპანურ საფეხბურთო საზოგადოებას მოახსენა, რომ "ბარსელონიდან" **რაფა მარკესის** შეძენა სურს. მადრიდული კლუბის დამრიგებელი აცნობიერებს, რომ მის თანამემამულეს კატალონიურ გრანდში პოზიციები შეუსუსტდა. დღე ისე არ ჩაივლის, მარკესის "კამპ ნოუდან" შესაძლო აბარგების შესახებ ვრცელი სტატია არ დაიწეროს. ამიტომ, აგირემ გადაწყვიტა, ვითარებით ისარგებლოს და მარკესი "ვისენტე კალდერონზე" გადაიყვანოს. სენიორ ხავიერი ოკეანისგაღმელი მცველის მენეჯერებს შეხვედრაზე შეუთანხმდა. მხარეები ამ კვირის ბოლოს მთავარი მწვრთნელის კაბინეტში შეიკეტებიან და მოლაპარაკებათა პირველ რაუნდს გამართავენ. წინასწარი მონაცემებით, "ატლეტიკოს" რაფას შეძენა 12-15 მილიონი ევრო დაუჯდება.

რეალი

# კაპელოს ბოლო დღეები

### კალდერონმა შუსტერს საკითხი კატეგორიულად დაუსვა: გერმანელმა ხეტაფეს თავი უნდა დააღწიოს

ამ კვირაში **ფაბიო კაპელოს** ბედს ნათელი მოეფინება. უფრო სწორად, ყველაფერი ოფიციალურად გაირკვევა, რადგან საზოგადოების უდიდესი ნაწილი დღესაც დარწმუნებულია, რომ იტალიელი სპეციალისტი თანამდებობას ვერ შეინარჩუნებს. ესპანეთის ჩემპიონატში საკალათბურთო გუნდის გამარჯვებით გახარებულმა **რამონ კალდერონმა** გადაწყვიტა, დირექტორთა ლიგგარეშე სხდომა მოიწვიოს და მთავარი მწვრთნელის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს. "რეალთან" დაახლოებული პირების თქმით, ეს შეხვედრა სამშაბათიდან ხუთშაბათამდე გაიმართება. კლუბის ხელმძღვანელობა დახურულ კარს მიღმა დასხდება და ყველა დეტალზე ამომწურავად იმსჯელებს. როგორც ამბობენ, მთავარ სიტყვას, **პრედრაგ მიატოვიჩი** იტყვის. ჩერნოგორიელი საფეხბურთო ფუნქციონერი აქამდე ფეხს ითრევდა და აცხადებდა, რომ კაპელო გულშემატკივრების ფავორიტია. პედიას ინჩასების განაწყენება არ სურდა, მაგრამ გააცნობიერა, რომ პრეზიდენტი დონ ფაბიოს არ წყალობს და პოზიცია რადიკალურად შეიცვალა. როგორც ამბობენ, მიატოვიჩი ახლა იტალიელის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ჩაეწერა და მის გადაყენებას დაუჭერს მხარს.

დედაქალაქელთათვის ერთადერთი პრობლემა საკომპენსაციო თანხაა. კონტრაქტის შეწყვეტის გამო კალდერონი ვალდებული გახდება, კაპელოს 5 მილიონი ევრო ეტაპობრივად გადაუხადოს. სენიორ რამონი ამითაც არ შეშინდება. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ის **ბერნდ შუსტერის** დანიშვნას ემხრობა.

ამასობაში ესპანური გრანდის მესვეურებმა "ხეტაფეს" გერმანელ სპეციალისტს მკაცრი მოთხოვნა გაუგზავნეს. შუსტერმა **ანხელ ტორესთან** ურთიერთობა უნდა გაარკვიოს და თავი დაიხსნას. ცნობილია, რომ "რეალისა" და "ხეტაფეს" მალალჩინოსნები არაერთხელ დაპირისპირებიან ერთმანეთს. ურთიერთობა იმდენად იძაბებოდა, რომ პრეზიდენტი ტორესი მის კოლეგა კალდერონს მატყუარას, ბანდიტსა და განგსტერს უწოდებდა. ბუნებრივია, ბატონ რამონს ასეთი ეპითეტების მოსმენა აღარ სურს და მთავარ როლს თავად შუსტერს აკისრებს. მოკლედ, ჰერ ბერნდმა ინიციატივა ხელში უნდა აიღოს და "ხეტაფეს" უმაღლეს ხელისუფალს საკითხი კატეგორიულად დაუსვას. როგორც გაირკვა, მხარეებს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ. შუსტერმა ტორესს "რეალში" გადაბარგების სურვილი გულწრფელად გაუმხილა, მაგრამ მისი პასუხი ვერ მიიღო. მოგვიანებით, მადრიდელთა პრეზიდენტმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: *"კარგია, რომ მიატოვიჩმა და კალდერონმა ტონი შეარბილეს. ჯერჯერობით, წარმოდგენა არა მაქვს, რა გადაწყვეტილებას მივიღებ შუსტერთან მიმართებაში. ის ჩვენი მთავარი მწვრთნელია და მოვითხოვ, რომ ყველა პატივისცემით მოგვეპყროს. ბერნდს კიდევ ერთხელ შევხვდები და მოლაპარაკებათა მორიგ რაუნდს გავმართავთ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები".*

ტორესს მიატოვიჩმა პრესკონფერენციითვე უპასუხა: *"ჩემთვის უცნობია, რატომ ცხარობს "ხეტაფეს" ხელისუფალი. ჩვენ ყოველთვის პროფესიულ პრინციპებს ვიცავდით და მის ზურგსუკან არაფერს ვაკეთებდით. შუსტერთან არც აქამდე გვისაუბრია და არც მომავალში ვაპირებთ შეხვედრას. გერმანელის დანიშვნის შესაძლებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში განვიხილავთ, თუ საკუთარ პრეზიდენტთან ურთიერთობას გაარკვევს და თავისუფლებას მოიპოვებს. ასე რომ, ტონი არასოდეს აგვიმაღლებია, შესაბამისად, მისი შერბილებაც არ გვჭირდებოდა."*

და მაინც, თუ ანხელ ტორესი ამჟამინდელი მწვრთნელის გაშვებას არ ისურვებს, "რეალის" მესვეურები ალტერნატიულ ვარიანტებზე მუშაობას დაიწყებენ. პრედრაგ მიატვოიჩმა ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ **მიქაელ ლაუდრუპის, არსენ ვენგერისა** და **რონალდ კუმანის** მენეჯერებთან მოლაპარაკების დაწყებას არ გამორიცხავს. ძნელი წარმოსადგენია, ვენგერმა "სანტიაგო ბერნაბეუზე" მუშაობა ისურვოს. მას "ბარსელონაში" გადასვლასაც უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ფრანგი სპეციალისტი "არსენალში" აგრძელებს მოღვაწეობას. ესპანელი მიმომხილველების ვარაუდით, შუსტერის შემდეგ "რეალის" გაძღოლის საუკეთესო შანსს რონალდ კუმანი ფლობს.



ფაბიო კაპელო ჩემოდნებზე ზის

მილანი

# გალიანი: ეტოო და რონალდინიო? შეუძლებელია!

### ...მაგრამ ბერლუსკონი იმედს მაინც არ კარგავს. მილანი ძამბროტასაც უმიზნებსო

გასული სატრანსფერო კვირა "მილანისთვის" უცნაურად მშფოთვარე იყო. "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** "კალიარის" ბოს **მასიმო ჩელინოს** 10 მილიონ გირვანქაზე შეუთანხმდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ შეთანხმების ობიექტს, **დავიდ სუასოს**, კონტრაქტი "ინტერთან" ჰქონია გაფორმებული. შესაბამისად, ტრანსფერი არ შედგა. "მილანი" დამარცხდა. მაგრამ გალიანის შეუძლია, შური იძიოს და უფრო დიდი კალიბრის ვარსკვლავი იყიდოს. მაგრამ შეუძლია კი?

*"ვესაუბრე პრეზიდენტ ბერლუსკონის და ის აბსოლუტურად დამეთანხმა იმაში, რომ სუასოსთან დაკავშირებით, გართულებაზე არ უნდა წავსულიყავით. ეს ფეხბურთელი ძალიან მოგვწონს, მაგრამ რას ვიზამთ, ცხოვრება გრძელდება"* - აცხადებს გალიანი.

ბოლო ხანებში ის ხშირად ესაუბრებოდა **მასიმო მორატისაც**: *"ამ საუბრების შემდეგ დავრწმუნდი, რომ "ინტერი" ჩვენზე ნაწყენი არ არის. მორატიმ იცის, რომ ჩვენ ყოველთვის სამართლიანი თამაშის წესებს ვირჩევთ. "მილანმა" მხედველობაში მიიღო სუასოს სურვილი და მოლაპარაკებები შეწყვიტა. იტალიურ ფეხბურთში ისედაც ბევრი პრობლემა და ხმაურია. ამიტომ, სიტუაციის გართულება არც ერთ მხარეს არ აწყობდა, არც ჩვენ და არც "ინტერს". როგორც საფეხბურთო ლიგის ყოფილ პრეზიდენტს, კარგად მესმის, რომ აქ მთავარ როლს მაღალი პასუხისმგებლობის მომენტი თამაშობს. წარმოიდგინეთ, რომელიმე ჩვენგანს ფიფაში საჩივარი რომ შეეტანა - იტალიის ჩემპიონი ევროპის ჩემპიონის წინააღმდეგ? რა სისულელეა! გმადლობთ, არ გვინდა. სჯობს, წინ გავიხედოთ".*

გალიანი მართლაც წინ იყურება. ის "ბარსას" ვარსკვლავებს უმიზნებს. ობიექტივში კვლავ **სამუელ ეტოო** და **რონალდინიო** რჩებიან. შედარებისთვის, გალიანი 1986 წელს იხსენებს, როცა "მილანმა" **ჯანლუკა ვიალი** გაუშვა ხელიდან. ფეხბურთელმა "როსონერიში" გადასვლაზე უარი თქვა. "მილანი" არ დანებდა, წავიდა და "აიაქსიდან" **მარკო ვან ბასტენი** წამოიყვანა...

ამ მომენტისთვის, ეტოო მთავარი სამიზნეა. მაგრამ კამერუნელი ბაზარზე აღარ ფიგურირებს, მას "ბარსელონაში" დარჩენა უნდა: *"ეტოოს ყიდვა რომ გვინდა, ეს არასოდეს დაგვიმალავს. ის პირველია ჩვენს სიაში, მაგრამ პრობლემა უცვლელია. ესპანეთში მიდიან იმიტომ, რომ იქ გადასახადები დაბალია, ვიდრე ჩვენთან. ეს სირთულე ტიერი ანრის მაგალითზეც გამოვცადეთ. ჩვენ ძალიან ახლოს ვიყავით ანრის ტრანსფერთან, ლეონარდომ დიდი სამუშაო გასწია, ის ცდილობდა, დაერწმუნებინა ფრანგი ფორვარდი, რომ "მილანში" გადმოსულიყო. ჩვენთვის ნამდვილად არ იქნებოდა პრობლემა "არსენალისთვის" 16 მილიონი გირვანქის გადახდა, მაგრამ ნამდვილად მიუღებელი იყო ფეხბურთელისთვის სეზონურად 6.7 მილიონის დანიშვნა. საბოლოო ჯამში, "ბარსელონას" უშუალოდ ანრისთან კონტრაქტი 10 მილიონ გირვანქაზე ნაკლები დაუჯდება, "მილანისთვის" კი ეს 13.5 მილიონის ტოლი იქნებოდა. ეს სამწუხარო სიმართლეა და ამას უნდა შევეგუოთ".*

"მილანის" ტიფოზებს შედარებით დააიმედებს პრეზიდენტ **სილვიო ბერლუსკონის** სიტყვები, რომელიც "სქაი იტალიასთან" ინტერვიუს დროს ითქვა: *"ვესაუბრე ხოან ლაპორტას, რომელმაც მითხრა, რომ რონალდინიოს ყიდვა შესაძლებელია. რაც შეეხება ეტოოს, არც მის იმედს ვკარგავთ, თუმც ვიცით, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება".*

ბერლუსკონის კომენტარს "ბარსელონის" ვიცე-პრეზიდენტი **ფერან სორიანო** ეხმაურება და კიდევ ერთხელ შეახსენებს "მილანს", რომ ეტოო "ბლაუგრანაში" რჩება, თუმცა საეჭვოდ არაფერს ამბობს რონალდინიოზე. იქნებ, ბერლუსკონი მართალია და ლაპორტამ ტყუილად არ დააიმედა?

"მილანისა" და "ბარსელონის" ურთიერთობა მარტო ეტოოთი და რონალდინიოთი არ შემოიფარგლება. თუ იტალიურ პრესას ვენდობით, "როსონერიმ" ესპანური გრანდის კიდევ ერთ ფიგურას, **ჯანლუკა ძამბროტას** დაადგა თვალი. "ბარსაში" ძამბროტას პოზიციები არც თუ ისე მყარია. ფრანგული მედია კი ამტკიცებს, რომ კატალონიელები **ერიკ აბიდალს** ყიდულობენ. ტრანსფერის თაობაზე უახლოეს დღეებში გაცხადდება. "ლიონის" მარცხენა მცველი ძამბროტას პოზიციაზე თამაშობს და თან მასზე ახალგაზრდაცაა. აბიდალი 8.5 მილიონი გირვანქა ღირს. ძამბროტას თაობაზე კი მოლაპარაკებები ამ კვირაში დაიწყებაო, - ასე წერენ იტალიელები.

და კიდევ ერთი ინფორმაცია მილანურ სატრანსფერო მოძრაობაზე. როგორც "ჩენელი" იუწყება, "როსონერი" 21 წლის **ჯანლუკა ჩიგარინის** გადაბირებას ცდილობს. "პარმის" ნახევარმცველი **კარლო ანჩელოტის**, თურმე, **ანდრეა პირლოს** მემკვიდრედ ესახება.



ეროვნული ბიბლიოთეკა



რიკელმე



ეტოო




კასანო

იტალიური ბაზარი

# მარადონამ რიკელმეს ნაპოლი ურჩია...

## ეტოო, კასანო, დროგბა, ტრეზეგე... ვნახოთ, როგორ დამთავრდება. სატრანსფერო ამბებს ამ საქმის ოსტატები აანალიზებენ. მოლაპარაკებები და პროგნოზები

ოსკარ დამიანის, კლაუდიო პასკუალინსა და ჯუზეპე ბოცოს იტალიაში ყველა იცნობს, ყველა, ვისაც კი რაიმე სახის სატრანსფერო კონსულტაცია, ანალიზი თუ პროგნოზი სჭირდება. მათ ყველაფერი იციან, მათ ბაზრის ოპერატორებს უწოდებენ, ისინი ყველასთვის სასურველი რესპონდენტები არიან, იმიტომ, რომ ტრანსფერები ახლა ყველაზე პოპულარული თემაა. მაშ, მივყვეთ კლუბების მიხედვით...

**მილანი**. **დავიდ სუასოს** დაკარგვას "მილანი" ასე იოლად ვერ შეეგუება. ბოლოს და ბოლოს, ეს პრესტიჟის საქმეა. ამხელა რანგის კლუბს ასეთი ბრიყვული შეცდომები არ უნდა მოსდიოდეს. ამიტომ, სიტუაცია გვაფიქრებინებს, რომ **ადრიანო გალიანი** სასწრაფოდ რაღაცას ილონებსო, - ასე ჰგონია **კლაუდიო პასკუალინს**. ამას გარდა: *"ყველა გზა ეტოოსკენ მიდის. არა მგონია, რომ ანრის მისვლის შემდეგ, თან როცა გყავს მესიც, რონალდინიოცა და ეტოოც, "ბარსამ" ოთხივე ტუზი შეინარჩუნოს. ალბათ, კამერუნელი გაიყიდება, მაგრამ საკმაოდ ძვირად. შევჩენკო? ვფიქრობ, "მილანის" სატრანსფერო სიაში ის მეორეა. ამას გარდა, გალიანიმ უნდა გაარკვიოს ისიც, თუ როგორია "მილანის" ფეხბურთელების აზრი შევჩენკოს დაბრუნებასთან დაკავშირებით. ეს ძალზე დელიკატური საკითხია".*

**ოსკარ დამიანის** მიაჩნია, რომ "მილანის" სამიზნე მარტო **სამუელ ეტოო** არ იქნება: *"ეტოო? რა თქმა უნდა, "მილანს" კამერუნელის ყიდვა ძალიან უნდა, მაგრამ არა მხოლოდ მისი. ასეთ დროს სათადარიგო ვარიანტსაც ამუშავებენ. ეს ვარიანტი დროგბაა. ჯილარდინო, ინძაგი, რონალდო და კიდევ ვილაც სხვა, მაღალი დონის ფორვარდი... ამ შემთხვევაში, "მილანს" შეუძლია მშვიდად იყოს".*

**ჯუზეპე ბოცოს** აზრით კი, "მილანს" ეტოოზე მეტად **რონალდინიო** აინტერესებს. ოთხ სუფთა ფორვარდს **კარლო ანჩელოტი** ისე ვერ გადაანაწილებს, რომ ყველა კმაყოფილი დარჩესო, - აცხადებს ბატონი ბოცო. *"მაგრამ კაკა და რონალდინიო როგორღა იქნებიან ერთად ნახევარდაცვაში? ეს კითხვაც აუცილებლად გაჩნდება. ამ შემთხვევაში, ანჩელოტის შეუძლია, რონალდინიო ოდნავ მარცხნივ გადაწიოს, როგორც ამას ფრანკ რიიკაარდი აკეთებდა. ამ ვარიანტით ის ფლანგსაც გააძლიერებს".*

**ინტერი**. პასკუალინი ფიქრობს, რომ "ინტერი" სრულადაა დაკომპლექტებული და ამ ეტაპზე არავინ სჭირდება, მაგრამ **ხუან რომან რიკელმე**? *"დიახ, მანჩინის ყველაფერი წესრიგში აქვს, მაგრამ დიდია ალბათობა, რომ "ინტერი" ერთს მაინც გაისვრის. რიკელმე საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, თუმცა უნდა ვთქვათ კასანოზეც. ამ ჰიპოთეზას ბევრი ჯეროვნად არ აფასებს - ვითომდაც, ჭირვეული ხასიათის გამო "ნერაძური" მასზე უარს იტყვის. კასანოსთან ურთიერთობა რთულია, როცა ის ვერ იღებს იმას, რაც სურს. მაგრამ ვთვლი, რომ "ინტერი" მაინც წავა ამ გარიგებაზე, თუმცა სულ ბოლო მომენტში".*

ბოცო მინიშნებას აკეთებს **ალვარო რეკობაზე**: *"ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, დარჩება თუ არა რეკობა. თუ დარჩება, მაშინ "ინტერს" მართლა არავინ დასჭირდება. მაგალითად, "რეალს" თავდასხმაში ყოველთვის სიჭარბე აქვს და ყოველი ნეგატიური სეზონის შემდეგ, ამ სიჭარბისგან თავისუფლდება. ამჯერად, სამეფო კლუბში განსხვავებული სიტუაციაა და ვფიქრობ, "ინტერს" აუცილებლად მოუწევს იბრაჰიმოვიჩის მისამართით წამოსული შეტევების მოგერიება".*

**იუვენტუსი**. ამ მომენტისთვის, "იუვენტუსის" ტიფოზებს ყველაზე მეტად თავდასხმის პრობლემა აღელვებთ. აქ ისმის **დავიდ ტრეზეგეს** საკითხი. დამიანი ასე ფიქრობს: *"მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია გართულებულია და ხშირია არასასურველი პოლემიკაც, მაინც მგონია, რომ ტრეზეგეს ტურინში დარჩენის უფრო მეტი შანსი აქვს, ვიდრე წასვლის... და ალბათ, დარჩება კიდეც".*

პასკუალინს სხვა აზრი აქვს: *"მე მგონი, ტრეზეგეს თაობაზე კამათი უაზრობაა. "იუვესთვის" ის აღარ არსებობს. ალბათ, დავიდი "ვალენსიაში" წავა, რადგან იცის, რომ იქ მისით დაინტერესებულნი არიან. შესაძლოა, ასეთ დროს თამაშში სავიოლა შემოვიდეს".*

ბოცო: *"გადამწყვეტი იქნება მომდევნო რამდენიმე დღე. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია მკარნახობს, რომ "იუვენტუსი" ტრეზეგეს არ გაუშვებს. თუ ფეხბურთელი სასწრაფოდ გააფორმებს ახალ კონტრაქტს, რანიერის ოთხი მაღალი დონის თავდამსხმელი ეყოლება. ამ სეზონისთვის, ეს სრულებით საკმარისი იქნება".*

**რომა**. ცხადია, პასკუალინი პირველ რიგში, **კრისტიან კივუს** ახსენებს: *"კივუს თემა დახურულად შეიძლება გამოვაცხადოთ. "ბარსელონა" შეიცვალა მას შემდეგ, რაც მას დიდი დირექტორი ჰყავს ბეგირისტაინის სახით. ასე რომ, კივუს თაობაზე მოლაპარაკებები თითქმის დასრულებულია და ის კატალონიაში გადაბარგდება".*

დამიანი ფიქრობს, რომ "ჯალოროსის" ტიფოზები მშვიდად უნდა იყვნენ: *"ჩემი ინფორმაციით, "რომა" მალე ორი მაღალი დონის მოთამაშით გამდიდრდება".*

ბოცო: *"სპალეტის ძალიან სჭირდება მარცხენა ფლანგის გამაგრება. არის რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა, რომლებზეც ნამდვილად ღირს მუშაობა. "რომა" ამაზე ყოველთვის აკეთებდა აქცენტს".*

**სხვები**. პასკუალინს "ფიორენტინის" პოლიტიკა ხიბლავს: *"ფლორენციელთა სპორტული დირექტორის კორვინოს დიდი ფანი ვარ. მას ჩინებული პროექტი აქვს და სჯერა ამ პროექტის. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული პაცინიზე, რომელსაც ტონის წასვლის შემდეგ უპირველესი პასუხისმგებლობა დაეკისრება. დაცვაში იქნება საპატა, ასევე ჩამოყალიბებული და სასურველი ფიგურა ნებისმიერი გუნდის უკანა ხაზისთვის".*

დამიანი კი **ანტონიო კასანოს** "ნაპოლისა" და "პალერმოს" სამიზნედ ასაღებს. ის თვლის, რომ ორივე კლუბს შეუძლია, შეუქმნას ამ ფეხბურთელს თბილი გარემო და ძირითადში მოხვედრის გარანტიაც მისცეს. *"მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოავლენს კასანო თავის ჭეშმარიტ შესაძლებლობებს"*, - დასძენს დამიანი.

"ნაპოლიზე" საუბარს ბოცო აგრძელებს: *"გუნდის ამჟამინდელი ჩონჩხი ძალიან კარგია, მაგრამ საჭიროა ახალი ძალებიც. ნეაპოლი განსაკუთრებული ადგილია, განსაკუთრებული მოვლენაა სერია A-ში დაბრუნებაც. ვფიქრობ, "ნაპოლიში" რამდენიმე ახალგაზრდა ტალანტი მივა, და ალბათ, ეს სამხრეთამერიკელები იქნებიან. რიკელმე? ეს ცალკე საკითხია. ბაზარზე მას ბევრი აკვირდება. ვიცით, რომ დიეგო მარადონამ რიკელმეს "ნაპოლიში" გადასვლა ურჩია. არ ვიცი, დაუჯერებს თუ არა ის თავის კერპს, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ არანაკლებ საინტერესო ფეხბურთელია ბანეგაც, "ბოკა ხუნიორსის" 18 წლის ნახევარმცველი, რომელიც ამ მომენტისთვის არგენტინაში ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდად ითვლება. ვფიქრობ, მასში ინვესტიციის ჩადება მომგებიანი იქნება".*

ბარსელონა

# აი, იაია!

## ბეგირისტაინმა იაია ტურეც იყიდა: სამედიცინო შემოწმება და ოთხწლიანი კონტრაქტი

"ბარსელონა" მომავალი სეზონისთვის სერიოზულად ძლიერდება. რამდენიმე დღის წინათ კატალონიურმა გრანდმა წლის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე გაჩარხა. **ჩიკი ბეგირისტაინმა** გულშემატკივრებს დიდი ხნის ოცნება აუსრულა და "კამპ ნოუზე" **ტიერი ანრი** ჩაიყვანა.

მიმომხილველებს არაერთხელ აუღნიშნავთ, რომ "ბარსას" გაძლიერება ყველაზე მეტად შუა ხაზსა და დაცვაში სჭირდება. ბუნებრივია, დირექტორატი ამ მიმართულებითაც ინტენსიურად მუშაობს. ბეგირისტაინმა პირველ წარმატებას მიაღწია. კატალონიური გიგანტის გენერალური დირექტორი მონაკოელ კოლეგებს **იაია ტურეს** ტრანსფერზე გაურიგდა. კოტდიუარელი ნახევარმცველი გუშინ ბარსელონაში მეუღლესთან ერთად ჩაფრინდა. ტურეს სამედიცინო შემოწმების გავლა მოუწევს. თუ გაუთვალისწინებელი პრობლემები თავს არ იჩენს, იმავე დღეს ოთხწლიან კონტრაქტსაც გააფორმებს, ამის შემდეგ კი ცოლთან ერთად ბინის მოძებნას შეუდგება.



ტურე ბარსელონის აეროპორტში

"დიარიო სპორტის" ცნობით, იაიას შეძენა 12 მილიონი ევრო დაჯდა. წლიური გასამჯელოს სახით ის 2 მილიონ ევროს მიიღებს. 24 წლის ნახევარმცველი მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ უდიდეს გრანდში მოხვედრით უზომოდ ბედნიერი დარჩა. აი, რა განუცხადა მან "ბარსელონის" საკლუბო ტელევიზიას: *"ბარსაში" თამაში განუმეორებელი შანსია. ხუმრობა ხომ არ არის, მსოფლიოს უძლიერეს კლუბში პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელებთან ერთად ასპარეზობა. პატრიკ ვიეირასა და კლოდ მაკელელეს თაყვანისმცემელი გახლავართ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ "კამპ ნოუზე" ისეთივე წარმატებული კარიერა გავიკეთო, როგორიც ჩემს კერპებს ჰქონდათ. თავს არ დავზოგავ. მთავარი მწვრთნელის მითითებებს უპრეტენზიოდ და უსიტყვოდ შევასრულებ. დარწმუნებული ვარ, ერთი წლის შემდეგ დიდი გამარჯვებებით გავიხარებთ. არ შემიძლია, ტიერი ანრის ტრანსფერით გამოწვეული სიხარული არ გამოვხატო. ვფიქრობ, ანრი ყველაზე სწრაფი, ტექნიკური და სახიფათო ფორვარდია. ბედნიერებაა, რომ მის მხარდამხარ ვითამაშებ".*



დიეგო ფორლანი

**სეზონის** დასრულების შემდეგ ფეხბურთელები ნანატრ შვებულებებში გავიდნენ. აი, მთავარ მწვრთნელებსა და დირექტორატის ხელმძღვანელ პირებს კი ჯერაც ბევრი სამუშაო აქვთ. გამონაკლისი არც **კიკე სანჩეს ფლორესია**. მოგეხსენებათ, "ვალენსიის" დამრიგებელს პრეზიდენტმა **ხუან ბაუტისტა სოლერმა** უპირობო თანადგომა გამოუცხადა და მასთან დაპირისპირებული გენერალური დირექტორი, **ამადეო კარბონი** სამსახურიდან გაუშვა. სანაცვლოდ, ბატონ კიკეს უფრო დიდი გულმოდგინებით მუშაობა დაევალა.

სანჩეს ფლორესმა პრეზიდენტს მნიშვნელოვანი წინადადებით მიმართა. საქმე **დიეგო ფორლანს** შეეხება. "ღამურების" დამრიგებელი მიიჩნევს, რომ ურუგვაელის გადაბირების შემთხვევაში, შეტევის ხაზი ერთი-ორად გაძლიერდება: *"არ დავმალავ, რომ ფორლანდი სიგიჟემდე მომწონს. ბოლო სამ სეზონში მან 54 გოლი გაიტანა. თუ გავითვალისწინებთ, რომ "ვილიარეალში" სეზონის დასაწყისში საკმაოდ დაძაბული და არეულ-დარეული სიტუაცია იყო, გარდა ამისა, დიეგოს ტრავმები ხშირად აწუხებდა, 54 ბურთი ფანტასტიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ურუგვაელი ფორვარდი დავიდ ვილიასთან ერთად გენიალურ ტანდემს შექმნის. გასული სამი წლის განმავლობაში დავიდიც მოწოდების სიმაღლეზე იდგა. "ვალენსიას" ის სხვადასხვა ტურნირებზე 56 გოლით დაეხმარა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამ ორი თავდამსხმელის ერთ გუნდში თავმოყრის შემთხვევაში, მათი პროდუქტიულობა კიდევ უფრო გაიზრდება. ეჭვი არ მეპარება, რომ დიეგო და დავიდი უპრობლემოდ გაუგებენ ერთმანეთს".*

ვალენსია

# ფორლანი მესტალიაზე?

## კიკე ფლორესი ვილიასა და დიეგოს ტანდემზე ოცნებობს

სოლერი სანჩეს ფლორესის წინადადებით მოხიბლული დარჩა და მთავარ მწვრთნელს შეპირდა, რომ "ვილიარეალის" ხელმძღვანელობასთან უახლოეს დღეებში დაიწყებს მოლაპარაკებას. "ყვითლების" პრეზიდენტი, **ფრანსისკო როიგი** ფორლანს ყოველთვის საკადრისად აფასებდა. მას არ დაუმალავს, რომ "ვალენსიის" დაინტერესების შესახებ პრესაში გავრცელებულმა ინფორმაციამ ძალიან გაალიზიანა. მიუხედავად ამისა, "ღამურები" საკმაოდ კარგ შანსებს ფლობენ. თუ ფორლანი საკითხს კატეგორიულად დააყენებს და "მესტალიაზე" გადაბარგებას ისურვებს, ტრანსფერი უფრო რეალურ ელფერს შეიძენს. არაოფიციალური ინფორმაციით, "ვილიარეალი" 15 მილიონი ევროს სანაცვლოდ დიეგოს აუცილებლად დათმობს.



ალფიო ბასილემ მოუგებელი სერია უნდა შეწყვიტოს



დუნგას პირველი სერიოზული გამოცდაა

კოპა ამერიკა 2007. ვენესუელა

# ამაღამ უყურეთ ამერიკის თასს

## არგენტინა 14-წლიანი მოუგებელი სერიის შეწყვეტას აპირებს...

ამაღამ კოპა ამერიკა დაიწყება. ბრაზილიელები კი ზეგ, გამთენიისას შეუდგებიან ტიტულის დაცვას (მექსიკელთა წინააღმდეგ). მათი უმთავრესი მეტოქე, წესით, არგენტინა უნდა იყოს, მაგრამ ამერიკელებსაც საინტერესო გუნდი ჰყავთ. სამი დღის წინათ შეერთებულმა შტატებმა კონკაკაფის ოქროს თასი მოიპოვა. მან ჩიკაგოს "სოლჯერ ფილდზე", 60 ათასი მაყურებლის თვალწინ მექსიკა დაამარცხა, 2:1.

არგენტინელებს ეს ტურნირი 14 წელია, არ მოუგიათ (ისინი კოპა ამერიკის 15-გზის მფლობელები არიან, რაც სარეკორდო მიღწევაა). სამი წლის წინათ "ალბისელესტე" ფინალში გავიდა, მაგრამ მომავალმა ჩემპიონმა ბრაზილიამ პენალტებით გაიმარჯვა. წლევანდელი, რიგით 42-ე ტურნირს პირველად უმასპინძლებს ვენესუელა, სადაც ფეხბურთზე უფრო მეტად ბეისბოლი უყვართ.

კოპა ამერიკა ორ წელიწადში ერთხელ იმართება, მაგრამ არ ტარდება მსოფლიოს ჩემპიონატის წელს. კონტინენტის პირველობას ყოველთვის ესწრებიან ევროპული კლუბების სკაუტები. ახალგაზრდა ლათინოამერიკელებს ოკეანის გაღმა კონტრაქტების გაფორმების საუკეთესო შანსი ეძლევათ.

ურუგვაიმ, კოლუმბიამ და ჩილემ ტურნირზე გაახალგაზრდავებული შემადგენლობები ჩაიყვანეს. ვენესუელა საკუთარი კედლების იმედზეა. ფავორიტია "კოპა ამერიკის" მეორე სტუმარი (ამერიკასთან ერთად) მექსიკაც.

ბრაზილიელთა გუნდი სახეშეცვლილია. **კარლოს დუნგამ** ბოლო ერთი წლის განმავლობაში რამდენიმე ვარსკვლავი დაითხოვა. მას ერთხელაც კი არ გამოუძახია **რონალდო, რობერტო კარლოსი, კაფუ** და **ადრიანო**. მოგეხსენებათ, ვენესუელაში არ გაემგზავრნენ **რონალდინიო** და **კაკა**. მათ გადაღლილობა მოიმიზეზეს და თავად ითხოვეს ტურნირიდან გათავისუფლება.

დუნგა ახალ სახეებს ეძებს. მან აღმოსავლეთ ევროპაში მოთამაშე თანამემამულეებს გაუღო კარი. პენტაკამპეონებმა დონეცკის "შახტიორის" ნახევარმცველი **ელანო** და მოსკოვის ცსკას თავდამსხმელი **ვაგნერ ლავი** აღმოაჩინეს. გამოძახებულია კიდევ ოთხი ახალბედა: ნახევარმცველები **ანდერსონი** და **ჟოშუა**, აგრეთვე მცველები **კლებერი** და **ალექს სილვა**.

უფრო გამოცდილთაგან აღნიშვნას იმსახურებენ მცველი **ჟუანი**, რომელმაც ლევერკუზენიდან რომს მიაშურა, ნახევარმცველები **დიეგო** ("ვერდერი") და **ჟილბერტო სილვა** ("არსენალი"), აგრეთვე თავდამსხმელები **რობინიო** ("რეალი") და **ფრედი** ("ლიონი").

დუნგას შეგირდებმა ბოლო ორი ამხანაგური მატჩი მოიგეს და ორივე სამხრეთამერიკელ მეტოქესთან - არგენტინას 3:0 ასიამოვნეს, ხოლო ჩილეს 4:0. დუნგა ამბობს, რომ ამ წარმატებებმა მის შეგირდებს ძალა შემატა. *"საფეხბურთო ხელოვნება არ არსებობს, ფეხბურთი შეჯიბრებაა. ის ცხოვრებას ჰგავს. ფეხბურთში, ისე, როგორც ცხოვრებაში, მხოლოდ შედეგი ფასობს,"* - ამბობს მწვრთნელი. დუნგა მექსიკასთან სადებიუტო შეხვედრაში პრობლემებს ელოდება. ბრაზილიის მეტოქემ ეს-ესაა ოქროს თასზე ითამაშა. ის პენტაკამპეონებზე უკეთაა მომზადებული.

არგენტინელთა დამრიგებელმა **ალფიო ბასილემ** ახალგაზრდებსა და გამოცდილ მოთამაშეებს მოუყარა თავი. "ალბისელესტეს" მრისხანე თავდასხმა ჰყავს - **ლეო მესი, კარლოს ტევესი** და **ერნან კრესპო** (ეს უკანასკნელი ტურნირის დებიუტანტია). ერთწლიანი შესვენების შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდა **ხუან რომან რიკელმე**. სულ მთლად სამწლიანი პაუზის შემდეგ ითამაშებს **ხუან სებასტიან ვერონი**. 28 წლის რიკელმე გუნდს მუნდიალის შემდეგ გამოეთხოვა, მაგრამ "ბოკა ხუნიორსთან" ერთად ლიბერტადორესის თასის მოგების შემდეგ ბასილეს შეთავაზებას დაუფიქრებლად დათანხმდა. არგენტინელები ტურნირს ზეგ, ამერიკელებთან მატჩით დაიწყებენ.

ვენესუელა თასის დაუფლებაზე პრეტენზიას არ აცხადებს, მაგრამ ამ ქვეყანამ ტურნირის მასპინძლობისათვის სარეკორდო თანხა დახარჯა. ქვეყნის პრეზიდენტმა **უგო ჩავესმა** საორგანიზაციო კომიტეტს 1 მილიარდი დოლარი გამოუყო. ეს სახელმწიფო სპორტული მოვლენებით განებივრებული არასოდეს ყოფილა. 1983 წელს ვენესუელაში პანამერიკული თამაშები გაიმართა. წლევანდელი კოპა ამერიკა მას მერე მეორე უმთავრესი სპორტული ღონისძიებაა. რაც შეეხება სარეკორდო ხარჯებს, შედარებისათვის გეტყვით, რომ 1995 წელს ურუგვაის სამხრეთი ამერიკის ჩემპიონატის მასპინძლობა 24 მილიონი დოლარი დაუჯდა, 1997 წელს ბოლოვიამ მხოლოდ 10 მილიონი დახარჯა, 2001 წელს კოლუმბიამ 20 მილიონი გამოყო, ხოლო 2004 წელს პერუმ 13.2 მილიონი. ვენესუელაში საგანგებოდ წლევანდელი ტურნირისათვის სამი ახალი სტადიონი აშენდა, კიდევ ექვსი არენა კი საფუძვლიანად შეკეთდა. დაიგო ათასობით კილომეტრი მოასფალტებული გზა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა.

ტურნირის დაწყებამდე ორი დღით ადრე შეიცვალა ნახევარფინალის მასპინძელი ქალაქი. 10 ივლისის მატჩი კარაკასში უნდა გამართულიყო, მაგრამ ის მარაკაიბოში გადაიტანეს. მეორე ნახევარფინალს პუერტო ორდასი უმასპინძლებს. შედეგად, ქვეყნის დედაქალაქი მთელი ტურნირის განმავლობაში მხოლოდ ერთ, მესამე ადგილისათვის მატჩს უმასპინძლებს. კარაკასის სტადიონზე გენერალური რეკონსტრუქციის შემდეგ კოსმეტიკური სამუშაოები ჯერაც არ დასრულებულა.

**A ჯგუფი**

ვენესუელა
ურუგვაი
ბოლივია
პერუ

**26 ივნისი. სამშაბათი**

ურუგვაი-პერუ
ვენესუელა-ბოლივია

**30 ივნისი. შაბათი**

ბოლივია-ურუგვაი
ვენესუელა-პერუ

**3 ივლისი. სამშაბათი**

პერუ-ბოლივია
ვენესუელა-ურუგვაი

**B ჯგუფი**

ბრაზილია
მექსიკა
ჩილე
ეკვადორი

**27 ივნისი. ოთხშაბათი**

ეკვადორი-ჩილე
ბრაზილია-მექსიკა

**1 ივლისი. კვირა**

ბრაზილია-ჩილე
მექსიკა-ეკვადორი

**4 ივლისი. ოთხშაბათი**

მექსიკა-ჩილე
ბრაზილია-ეკვადორი

**C ჯგუფი**

არგენტინა
აშშ
პარაგვაი
კოლუმბია

**28 ივნისი. ხუთშაბათი**

პარაგვაი-კოლუმბია
არგენტინა-აშშ

**2 ივლისი. ორშაბათი**

აშშ-პარაგვაი
არგენტინა-კოლუმბია

**5 ივლისი. ხუთშაბათი**

კოლუმბია-აშშ
არგენტინა-პარაგვაი

**ფლეი ოფი**

**7-8 ივლისი**

1/4 ფინალები

**11-12 ივლისი**

1/2 ფინალები

**15 ივლისი**

ფინალი

** ჯგუფების პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები და ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი ფლეი ოფში ითამაშებს.*


## ფეხბურთის მოყვარულთათვის!

26 ივნისიდან ლუდის ბარი "ბუდაპეშტი" გთავაზობთ FOOTBALL SHOW-ს დონ ედოსთან ერთად. "კოპა ამერიკისა" და საფეხბურთო სამყაროს სხვა სიახლეები, მატჩების პირდაპირი რეპორტაჟები, ვიქტორინა, პრიზები და უამრავი სიურპრიზი ენერგიული მუსიკის ფონზე. ჩაიძირე ფეხბურთის სამყაროში და დააგემოვნე ქართული და ევროპული სამზარეულო.

დასაწყისი 21 საათზე. მისამართი: ბუდაპეშტის ქ. 7 (საბურთალოზე).

*საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ლელო"*


ბუნდესლიგა

# შალკეს მიზანი უცვლელია: ჩემპიონობა!

## გუნდებმა მზადება დაიწყეს...

**გერმანული კლუბები ნელ-ნელა იკრიბებიან. ამ მხრივ პირველი მერცხალი ალექსანდრე იაშვილის "კარლსრუე" გამოდგა, რომელმაც კვირას დაიწყო ვარჯიში. გუშინ კი ვიცე-ჩემპიონი "შალკე", "ჰერტა" და "ჰანოვერი" შეიკრიბნენ.**

### კარლსრუე

მეორიდან პირველ ბუნდესლიგაში გადასული "კარლსრუე", სადაც მომავალი სეზონიდან ჩვენებური **ალექსანდრე იაშვილი** ისპარეზებს, პირველი ბუნდესლიგური კლუბია, რომელიც მომავალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. ბადენელთა მთავარმა მწვრთნელმა **ედმუნდ ბეკერმა** გუნდი კვირას შეკრიბა, თუმცა ქართველი თავდამსხმელი ახალ თანაგუნდელებს მოგვიანებით შეუერთდება - იაშვილმა გუნდის ხელმძღვანელებისგან სხვებზე ხანგრძლივი შვებულება მიიღო.

კვირასვე, "კარლსრუეს" გენერალურმა მენეჯერმა **როლფ დომენმა** უკანასკნელი ტრანსფერი გაახმაურა: ცნობილი გახდა, რომ "ბაიერნის" მარჯვენა მცველი **ანდრეას გიორლიტცი** მომავალ სეზონს "კარლსრუეში" გაატარებს. 25 წლის გიორლიტცი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში ორი შეხვედრა აქვს ჩატარებული, ხოლო ბუნდესლიგაში კი 55 მატჩში 2 გოლი აქვს გატანილი, "კარლსრუეში" განათხოვრების წესით ითამაშებს - მის კონტრაქტს ვადა 2008 წლის 30 ივნისამდე აქვს. *"გიორლიტცი ის ფეხბურთელია, რომელიც ძალიან გვჭირდებოდა. ჩვენთან მას სათამაშო პრაქტიკა ექნება. მიხარია, რომ მისი არენდით აყვანა მოვახერხეთ,"* - განაცხადა დომენმა და იქვე დასძინა, - *"ამით ჩვენი ტრანსფერები დასრულებულია. მომავალი სეზონისთვის არც არავის დავიმატებთ და ვერც ვერავის შეველევით."*

იაშვილის გარდა, პირველ ვარჯიშზე ბეკერმა ხსენებული გიორლიტცი და "კაიზერსლაუტერნიდან" გადაბირებული **ტამაშ ჰაინალიც** მოისაკლისა. სანაკრებო მატჩების გამო შედარებით ხანგრძლივი შვებულება აქვთ ალბანელ **ედმონდ კაპლანის** და სამხრეთაფრიკელ **ბრედლი კარნელსაც**. შეგახსენებთ, რომ იაშვილის, გიორლიტცისა და ჰაინალის გარდა, "კარლსრუემ" მომავალი სეზონისთვის აინტრახტელი **კრისტოფერ რაინჰარდი**, ფიურტელი **კრისტიან ტიმი** და უნტერჰახინგელი **შტეფან ბუკი** გადაიბირა. ამ სამეულმა ბეკერის ხელმძღვანელობით კვირასვე ივარჯიშა.

რვაწლიანი პაუზის შემდეგ ელიტაში დაბრუნების გამო, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კარლსრუეში საფეხბურთო ბუმია. თავად განსაჯეთ, პირველ ვარჯიშს 2 500 გულშემატკივარი დაესწრო. ეს მაშინ, როცა შარშან პირველი ვარჯიში მხოლოდ და მხოლოდმა 20 ფანმა (!) იხილა. მიუხედავად იმისა, რომ 6 ახალწვეულის ფასი საერთო ჯამში ერთ მილიონ ევროსაც კი არ შეადგენს, დომენი დარწმუნებულია, რომ ამ შემადგენლობით KSC ბუნდესლიგაში ადგილს უპრობლემოდ შეინარჩუნებს. მენეჯერის თქმით, გუნდის მიზანი მინიმუმ მე-12 ადგილზე გასვლაა.

### შალკე

**ლევან კობიაშვილის** გუნდი გუშინ შეიკრიბა და გელზენკირხენელთა პირველი ვარჯიში დაახლოებით 10 000-მდე გულშემატკივარმა იხილა. ფანები არ მალავდნენ, რომ ყველაზე მეტად ახალწვეული **ივან რაკიტიჩის** ნახვა აინტერესებდათ. როგორც იცით, 19 წლის შვეიცარიელი "შალკემ" "ბაზელიდან" **ლინკოლნის** შემცვლელად შეიძინა, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ახალწვეულმა ბრაზილიელის კუთვნილი, მე-10 ნომერი მიიღო. რაკიტიჩი ყურადღების ცენტრში იმის გამოც მოექცა, რომ თურმე ამ უკანასკნელს "შალკეში" გადასვლამდე უთქვამს, ჩემი ოცნება "ბარსელონაში" ან დორტმუნდის "ბორუსიაში" თამაშიაო. ალბათ ხვდებით, რამაც აღაშფოთა "შალკეს" გულშემატკივრები - ფეხბურთელი, რომელიც მათ საყვარელ გუნდში ითამაშებს, თურმე მოსისხლე მტერ "ბორუსიაში" ასპარეზობაზე ოცნებობდა, რაც გელზენკირხენელთათვის უდიდესი შეურაცხყოფაა. არადა, შვეიცარიელი ფეხბურთელის მხრიდან საოცნებო გუნდად "დორტმუნდის" დასახელება მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა, რადგან ყველამ იცის, რომ **სტეფან შაპუიზას**, ახლა კი **ალექსანდერ ფრაის** გამო, შვეიცარიელები გერმანული გუნდებიდან უპირატესობას ყოველთვის BVB-ს ანიჭებენ. საინტერესო ისაა, რომ დორტმუნდელი ქომაგები უკვე ბოროტად ხუმრობენ, რაკი რაკიტიჩი "შალკეში" გადავიდა, მან უკვე მოისპო იმის შანსი, რომ ოდესმე გერმანიის ჩემპიონი გახდესო. გელზენკირხენელი ქომაგებისთვის ესეც უდიდესი დარტყმაა.

*"მომდევნო სეზონში ფავორიტი "ბაიერნი" იქნება, ეს ცხადზე უცხადესია. მით უმეტესი მას შემდეგ, რაც ბავარიელებმა ტონი და რიბერი შეიძინეს. მაგრამ ჩვენც ძლევამოსილი გუნდი გვყავს და შესაბამისად, კვლავ ჩემპიონობისთვის ბრძოლას ვაპირებთ. დარწმუნებული ვარ, რომ "ვერცხლის სინისთვის" ბრძოლა ისევ ბოლო ტურამდე გაგრძელდება,"* - განაცხადა გელზენკირხენელთა მთავარმა მწვრთნელმა **მირკო სლომკამ** ვარჯიშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელზეც მასთან ერთად ჟურნალისტების წინაშე, "შალკეს" ახალარჩეული პრეზიდენტი **იოზეფ შნუზენბერგიც** წარდგა. ამ უკანასკნელმა, სამომავლო გეგმების გარდა, მოსალოდნელ ტრანსფერებზეც ისაუბრა. შნუზენბერგის თქმით, "შალკეს" **სტეფან აპიაზე** ჯერ ხელი არ ჩაუქნევია: *"აპია და ლეონ ანდრეასენი კვლავაც ჩვენთვის სასურველი ფეხბურთელების სიაში არიან. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მომავალ სეზონში ორივემ "შალკეს" მაისურა მოირგოს."*

რაკიტიჩის გარდა, პირველ ვარჯიშში მონაწილეობა კიდევ ოთხმა ახალწვეულმა მიიღო - **ბენედიქტ ჰიოვედესმა** (მოყვარულებიდან), **ჯერმეინ ჯონსმა** (აინტრახტიდან), **მათიას შობერმა** (ჰანზადან) და **ჰაიკო ვესტერმანმა** (არმინიიდან). **მლადენ კრსტაიჩი**, ლევან კობიაშვილი და **კევინ კურანი** გუნდს 2 ივლისს შეუერთდებიან, **გუსტავო ვარელა** კი, "აუფ შალკეზე" 4 ივლისს გამოცხადდება. **დარიო როდრიგესი** კოპა ამერიკაზე ისპარეზებს, **ზლატან ბაირამოვიჩი** კი ტრავმირებულია.

### ჰერტა

გუშინ პირველად შეიკრიბა ბერლინის "ჰერტაც", ოღონდ, დედაქალაქური კლუბი ერთობ გაურკვეველ მდგომარეობაშია. ახალი მთავარ მწვრთნელი **ლუსიენ ფავრი** უკმაყოფილოა იმის გამო, რომ გუნდმა ჯერჯერობით ნორმალური ტრანსფერების გაჩარხვა ვერ შეძლო. ერთადერთი ახალწვეული "ბოხუმის" ყოფილი მეკარე **დრობნია**. ასე განსაჯეთ, ბერლინელებმა ფავრს ჯერ ასისტენტიც კი ვერ დაუნიშნეს. სამაგიეროდ, "ჰერტამ" მარჯვენა ნახევარმცველი **ელერი კაირო** დაკარგა - ამ უკანასკნელმა "ქოვენთრის" მიაშურა.

### ჰანოვერი

ახალი სეზონისთვის მზადებას "ჰანოვერიც" შეუდგა. აღსანიშნავია, რომ "წითლების" ბოსები ძალიან კარგად მუშაობენ. ახალწვეულები **კლაინე, პინტუ** და **კრებსი** გუნდს გუშინვე შეუერთდნენ, "ვოლფსბურგიდან" ნაყიდი **მაიკ ჰანკე** კი ჯერჯერობით ტრავმირებულია და ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს. უახლოეს ერთ თვეში "ჰანოვერი" 10 ამხანაგურ შეხვედრას გამართავს, მათ შორის, 17 ივლისს გლაზგოს "რეინჯერსს" შეხვდება, 31 ივლისს კი მადრიდის "რეალს".

**გოტფრიდ ლენცი**

## კალათბურთი




ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან

# ჯერ დაცვა, მერე წუთები, მერე სროლა და ქულები

**ლეგიონერთაგან საქართველოში ყველაზე გვიან მანუჩარ მარკოიშვილი ჩამოვიდა (ვლადიმერ ბოისა ჯერაც სლოვენიაშია). შესაბამისად, მანუსთან ერთად განვლილი სეზონის შეფასება დღემდე ვერ მოხერხდა. ამ ნომერში იგი ლიუბლიანის "ოლიმპიას" ამბებსაც გაიხსენებს და სამომავლო გეგმებსაც შეეხება.**

**- ნამდვილად არ მინდა, მაგრამ ინტერვიუს დასაწყისში მაინც ტრავმის შესახებ უნდა გკითხო...**

- გუშინ საქართველოს ნაკრების ექიმთან ერთად თერაპიის კურსი დავიწყე. ოთხთავა კუნთი მქონდა დაზიანებული, სადაც სისხლჩაქცევა დღემდეა შემორჩენილი, ცოტა ტკივილსაც მიტოვებს. მაგრამ თერაპიამ ყოველგვარი პრობლემა უნდა მოხსნას.

**- საქართველოს ნაკრებისთვის ძმასთან ერთად ხომ არ მოემზადები?**

- ერთად ვარჯიშს უკვე შევუდექით. ფეხზე დატვირთვებს ვერიდები, თუმცა ფიტნეს-ცენტრში უკვე დავდივართ. გიორგის, ჩემგან განსხვავებით, გრაფიკი აქვს - იგი 2 ივლისს უნდა გამოცხადდეს შეკრებაზე.

**- დასვენება მოასწარი?**

- პლაჟებზე წასასვლელად ვერ მოვიცალე. თუმცა, თბილისში სათანადოდ დასვენებას მაინც ვახერხებ.

**- რადგან ნაკრების თემა ვახსენეთ, არ გადავდოთ და ახლა გაიხსენე, როგორ დაემშვიდობე ფინელ თანაგუნდელ ტეემუ რანიკოს.**

- სიმართლეს ვიტყვი - წამოსვლის წინ არც მე დავმუქრებივარ და არც - ის. მეგობრულად დავემშვიდობეთ თბილისში შეხვედრის იმედით.

**- როგორ ფიქრობ, რანიკოს ამოკეტვით ფინელთა ძლევა იოლი იქნება?**

- იგი გამოცდილი კალათბურთელია, სწრაფი და ფეთქებადი. სროლის სიზუსტეც შესაშური აქვს, ამიტომ ტეემუს შეჩერებას დიდი მნიშვნელობა ექნება. ფინეთთან ბოლო მატჩში მისი მეურვეობა რიგ ეპიზოდებში მიწევდა ხოლმე და თუ საჭირო გახდა, 2 სექტემბერსაც სიამოვნებით ჩავიბარებ ჩემს ოლიმპიელ თანაკლუბელს. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ რანიკოს შეჩერება მოგებას ვერ მოგვიტანს. მთავარია, მეტოქეს გუნდური თამაშის საშუალება არ მივცეთ, თორემ შეიძლება ტეემუმ 40 ქულა ჩააგდოს და მისმა ფინეთმა მაინც წააგოს.

**- როგორ ფიქრობ, საქართველოს ნაკრები წლიდან წლამდე პროგრესირებს?**

- ამის დასამტკიცებლად აუცილებელია, A დივიზიონის საგზური მოვიპოვოთ. რისი შანსიც ნამდვილად გაგვაჩნია. თუკი ჯანმრთელობა ხელს შეგვიწყობს, ყველა პირობა გვაქვს ოფიციალური მატჩებისთვის სათანადოდ მოსამზადებლად. ხოლო უშუალოდ თამაშებისას კი აუცილებელია კონცენტრაცია და მწვრთნელის მითითებების ზედმიწევნით შესრულება. თუკი ყველაფერს სწორად გავაკეთებთ, ღმერთის წყალობით ჯგუფიდანაც გავალთ.

**- ამ ზაფხულს "ოლიმპია" ულების საზაფხულო ლიგაზე ითამაშებს. ნაკრებამდე კლუბთან ხომ არ მოემზადები?**

- ეს კემპი 30 ივნისს იწყება და მასში მხოლოდ ის კალათბურთელები მონაწილეობენ, რომლებსაც "ოლიმპიას" ხელმძღვანელობისთვის აქვთ დასამტკიცებელი, რომ გუნდში მოხვედრის ღირსები არიან.

**- შუა სეზონში შენს გამოსვლაზე არაერთხელ ვისაუბრეთ. დღევანდელი გადასახედიდან 2006-07 წლების სეზონით კმაყოფილი ხარ?**

- მოდი, სიტყვა "კმაყოფილი" გვერდე გადავდოთ. დავინახე ბევრი პლუს-მინუსი, მაგრამ მათ შორისაც იყო დიდი სხვაობა - უარყოფითი უფრო ბევრი გამოჩნდა, ვიდრე დადებითი.

**- კონკრეტულად?**

- სათამაშო დრო დაცვაში კარგი გარჯის წყალობით მოვიპოვე. შეტევაში კი უფრო აგრესიული და ასე ვთქვათ, შემქმნელი უნდა ვყოფილიყავი. მაგრამ გასულმა სეზონმა გამოცდილებაც შემმატა და უკვე ვიცი, რა უნდა გავაკეთო მინუსების პლუსებად გარდასაქმნელად.

**- ასე რომ, მხოლოდ თავდასხმაში ნაკლებაგრესიულობას უჩივი?**

- არა, შარშან გამოჩნდა არასტაბილურობაც. მაგალითად ორ-სამ თამაშს კარგად რომ ჩავატარებდი, შემდეგ რაღაც მემართებოდა და სათანადოდ ვერ ვირჯებოდი. შეიძლება ეს ფსიქოლოგიური მოუმზადებლობის ბრალი იყო. შეიძლება სხვა მიზეზიც ჰქონდა, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევი - ჩავარდნები იყო და უნდა ვეცადო, რომ მათი რიცხვი მინიმუმამდე შევამცირო.

**- სეზონის შეჯამებისას ალვნიშნე - კაპიტნის მარკო მილიჩის გუნდიდან წასვლის შემდეგ მარკოიშვილს თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნაო...**

- მარკო გუნდის ლიდერი იყო და ყოველ მატჩში მინიმუმ 15 ტყორცნას ასრულებდა. როცა ასეთი კაცი გუნდიდან წავა, თავისთავად ჩნდება მისი შემცვლელის პრობლემა. არითმეტიკულად რომ ვიმსჯელოთ, ის 15 სროლა სხვებს უნდა გადაგვენაწილებინა. მართალია თხუთმეტივეს არა, მაგრამ მილიჩის წასვლის შემდეგ მატჩებში ათამდე "მის" ტყორცნას მე ვასრულებდი. სწორედ ეს გახდა შეტევაში თამამად ათამაშების მიზეზი. გუნდში მილიჩის ყოფნისას კი ჩემი მთავარი ფუნქცია დაცვა იყო.

**- საქართველოდან როცა წახვედი, უფრო შემტევი კალათბურთელი იყავი, თუ დაცვითი?**

- რა თქმა უნდა, შემტევი. არ ვამბობ - დაცვაში თამაში მეზარებოდა-მეთქი, მაგრამ რაც მართალია, მართალია, სროლა უფრო მიყვარდა. თუმცა, ევროპული კალათბურთის გაცნობასთან ერთად, ჩემი აზრებიც შეიცვალა - ქულებით რომ ვერავინ გავაკვირვე, მივხვდი, რომ რაც უნდა იდეალური ტყორცნა გქონდეს, დაცვას თუ არ თამაშობ, არავის უნდიხარ. სათამაშო დრო დაცვით უნდა მოიპოვო და 30 წუთს რომ მიაღწევ, მერე უნდა იფიქრო მატჩში 8-10 ტყორცნაზე.

**- მსგავსი რჩევა ბევრ ქართველ ბავშვსაც გამოადგება...**

- შეიძლება საქართველოში ბევრი თავს კარგ დამცველად თვლის - ერთიერთზე მეტოქეს კარგად ვეთამაშებიო. ეს კარგია, მაგრამ არის დაცვის მეორე სახეობაც - გუნდური. პატარებს ასეთი დაცვა ნამდვილად არ იზიდავთ - ხან ერთს უნდა მიეხმარო, ხან მეორეს... მოკლედ, დიდძალი შავი სამუშაოს შესრულება გიწევს. მე სწორედ იმისკენ მივისწრაფი, რომ დაცვაშიცა და შეტევაშიც თანაბრად სასარგებლო ვიყო. ამის მიღწევა ბევრი და სწორი ვარჯიშის წყალობითაა შესაძლებელი.

**- "ოლიმპიას" მაისურით მომდევნო სეზონში თამაში შენთვის სასარგებლო იქნება?**

- გუნდი ორ მნიშვნელოვან ტურნირში იღებს მონაწილეობას - ევროლიგასა და ადრიატიკის თასზე. იქ თამაში ნებისმიერი კალათბურთელისთვის სასარგებლოა. "ოლიმპიაში" ერთ სეზონს კიდევ გავატარებდი, მაგრამ კლუბში იმდენი ვალია დაგროვილი, რომ ისიც არ ვიცი, შეძლებენ თუ არა თუნდაც ერთი თვის ხელფასის მოცემას. ფული შეიძლება ბევრს არ წყვეტდეს, მაგრამ ხშირად გვანერვიულებენ კიდეც - გვატყუებენ: აი, ხვალ მოდი და ხელფასს აუცილებლად მიიღებო, მეორე დღეს იგივეს გაგიმეორებენ - ხვალ მოდიო, ბოლოს აღმოჩნდება, რომ დამპირებელი სხვამ მოატყუა და ბანკში (რომლის იმედადაც იყო) ფული არ ჩარიცხულა. სწორედ ასეთი ტყუილი იწვევს გაღიზიანებას და როცა სათანადო განწყობაზე არ ხა,რ ვერც სასურველ დონეზე ითამაშებ. ერთადერთი, შეიძლება სწორედ ამის გამო მომიხდეს კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტა, თორემ სუფთა სათამაშო მხრიდან "ოლიმპიელთა" მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ამ საფეხურზე რომ ავედი, სწორედ მათი დამსახურებაა.

**- გაისად მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას არ დაგპირდნენ?**

- მე თუ მკითხავთ, საქმე აქამდე არ უნდა მისულიყო - "ოლიმპია" დღესაც ევროლიგის ფინალური ოთხეულისთვის უნდა იბრძოდეს, მაგრამ ამის ნაცვლად, საქმე სასამართლოებში აქვთ. ისინი, ვინც 5 წლის წინათ ვალებს იღებდა, გუნდის სათავეში აღარ არიან და მათი ნამოქმედარის გამოსწორება ახალ უფროსობას უწევს.

ვაჟა **სიმონიშვილი**

ერიჰაა!

# ცინიზმი აეროპორტის საბაჟოზე

საქართველოს სპორტული დელეგაცია, სოლიდური შემადგენლობით, სულ მალე, 30 ივნისს, თბილისიდან მეზობელი თურქეთის ქ. ტრაბზონში გაემგზავრება, სადაც 2-8 ივლისს ჩატარდება შავი ზღვის პირველი თამაშები სპორტის 9 ოლიმპიურ სახეობაში. ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა ამ თამაშებში მონაწილეობის საორგანიზაციო საკითხები იმთავითვე სახელმწიფო დონეზე რეგულირდება. ამ ყურადღების ერთი გამოხატულება იყო დელეგაციის შემოსვა ორიგინალური სპორტული ფორმით. დაკვეთა გერმანიაში შესრულდა. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სპორტის სამმართველოს უფროსმა ირაკლი სამყურაშვილმა, გერმანიაში რამდენიმე დღე დაჰყო, რომ შეკვეთის ხარისხიან დამზადება-ტრანსპორტირებას უპრობლემოდ ჩაევლო. დათქმული პირობით, ერთ-ერთი კერძო ავიაგადამზიდველისგან ტვირთი სრულად გუშინ უნდა მიეღო დამკვეთს. და აი, ამ დროს, სწორედ ის მოხდა, რასაც არავინ მოელოდა. თბილისის აეროპორტში გზავნილის ნაწილი ჩამოვიდა და არა სრულად. ეს კიდევ არაფერი, რაც ჩამოვიდა სასაქონლო სახე შეცვლილი აქვს - მუყაოს ყუთებში სპორტული ფორმა დასველებულია, ყუთები - დაგლეჯილი. ყველაფერი ეს "ლელოს" წარმომადგენელმა, რომელსაც ეროვნული ფედერაციის, "სპორტი ყველასთვის" სახელით ტვირთის განბაჟებაში უნდა მიეღო მონაწილეობა, საკუთარი თვალით იხილა.

გგონიათ ვინმე შეწუხდა, ან მოიბოდიშა, ან ზარალის ანაზღაურებაზე დაიწყო ლაპარაკი დარცხვენით? არა და არა. პირიქით, ყინჩად და უტიფრად განაცხადა - აგერ, ნახეთ, წვიმამ მარტო თქვენი კი არა, სხვისი ტვირთიც დაასველა და დააზიანაო. თანაც ეს ისე თქვა, თითქოს შეუვალი საბუთი იყოს. მომხდარის გამო პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად. და კიდევ: "ჰე, ახლა ყუთებს "სკოჩებს" გადავახვევთ და ტვირთს წაიღებთ, თუ რა ვქნათ". ეს უკვე მეტისმეტი იყო, ცინიზმში შეზავებული უპასუხისმგებლობა, თავგასულლობა, დაუსჯელობაში თვითდაჯერება.

ტვირთი არ განბაჟებულა. დღეს დარჩენილი ნაწილის გერმანიიდან ტრანსპორტირებას ელიან. მხოლოდ ამის შემდეგ გაგრძელდება სერიოზული მსჯელობა ზარალთან და გულგრილობით თავჩენილ დანაშაულთან დაკავშირებით.



## დავით რუხაძე

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 63 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი ხელბურთელი, სპორტის ოსტატი დავით რუხაძე.

დაიბადა თბილისში, სწავლობდა მე-100 საშუალო სკოლაში. მოსწავლეების პერიოდში ეზიარა ხელბურთის საიდუმლოებას. დაამთავრა თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტი.

1960-1970 წლებში, როგორც მეკარე, "ბურევესტნიკის", თსუ-ს და საქართველოს ნაკრები გუნდების ღირსებას იცავდა. მრავალჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი, წარმატებით გამოდიოდა საკავშირო პირველობებსა და სხვადასხვა რანგის ტურნირებში. მერე მუშაობდა სპეციალობით ფინანსთა სამინისტროში, თბილისის საფინანსო საქალაქო სამსახურში, ვაკის რაიონის საგადასახადო სამსახურში.

2003 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ლ. თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრის კონსულტანტი.

აქტიურად ეხმარებოდა ხელბურთის ეროვნულ ფედერაციას, ხელბურთში დასაქმებულ მწვრთნელებსა და სპორტსმენებს. მუდამ გამოირჩეოდა ქველმოქმედებით და მოყვასისადმი მხარში უანგარო დგომით. ქართული ხელბურთის სამყაროს, ახლობლებს და მეგობრებს, თბილისს დააკლდა ჩინებული სპორტსმენი და ბრწყინვალე პიროვნება.

დავით რუხაძის სახელს დავიწყებას არ მისცემენ მისი კოლეგები და მეგობრები.

ვეტერანები, ხელბურთელები, მეგობრები

---

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე აკადემიის პროფესორი

გიორგი (ასანა) ნადირაძე

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

ჭაბუკთა ნაკრები

# 15 მედალი 1800 მეტრზე



საქართველოს ჭაბუკი მოჭიდავეები დაბრუნდნენ ირანის ქალაქ არდაბირიდან, სადაც საკმაოდ კარგად გამოვიდნენ. ჯამში, ორივე გუნდმა 15 მედალი მოიხვეჭა, თუმცა, ანტიკურშიც და თავისუფალშიც, ოდენ გუნდურ მეორე ადგილებს დავჯერდით, რადგან მასპინძლებს უფრო წარმატებით უჭიდავიათ.

ირანიდან დაბრუნებული მწვრთნელ-მოჭიდავეები გუშინ, ფალავანთა კლუბში შეიკრიბნენ და პრესკონფერენცია გამართეს. სანამ მწვრთნელების კომენტარს გაგაცნობდეთ, ჯერ არდაბირული ტურნირის გამარჯვებულთა და პრიზიორთა გრძელ სიას გადავხედოთ.

თავისუფალ ჭიდაობაში, უძლიერესები გახდნენ **დავით მარსაგიშვილი** (76 კგ) და **თორნიკე ხიდაშელი** (100), ვერცხლის მედლები მოიპოვეს **ვასილ მამულაშვილმა** (54), **გიორგი გაბისიანმა** (69) და **ოთარ ურატაძემ** (76), ბრინჯაოს მედლებს კი დაეუფლნენ **ვლადიმერ ხინჩიკაშვილი** (50), **დავით ხუციშვილი** (58) და **გიორგი ჩიტაშვილი** (85).

ანტიკოსთაგან, ოქროს მედლები არავის დაანებეს **პაატა ბაკურიძემ** (63) და **ვასილ იმერლიშვილმა** (100), მხოლოდ ფინალში დამარცხდა **დავით ტაკაშვილი** (59), ხოლო **ქემალ ხარაბაძე** (50), **ზურაბ დათუნაშვილი** (58), **გიორგი ღვინიაშვილი** (76) და **ოთარ რამიშვილი** (76) მესამეები იყვნენ.

ახლა კი, მოდით, მწვრთნელებს მოვუსმინოთ.

თამაზ ბენდიანიშვილი, **ჭაბუკ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი**: ირანული ტურნირი ტრადიციული და ბავშვთა დღისადმია მიძღვნილი. მართალია, ამჯერად, მხოლოდ 7 ქვეყანა მონაწილეობდა, მაგრამ სამაგიეროდ, ხარისხი იყო კარგი, ანუ ყველა გუნდს უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდა. როგორც იცით, ირანამდე თურქეთის ტურნირზე ვიასპარეზეთ, სადაც 4 ოქროს მედალი მოვიპოვეთ. ამჯერად, ამის ნახევარს დავჯერდით, მაგრამ ეს საგანგაშო ნამდვილად არაა. ტურნირის სიძლიერეს რომ თავი დავანებოთ, რამდენიმე მოჭიდავეს წონი არ დავაკლებინეთ, რის გამოც, მათ საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა გაუჭირდათ.

ჩემი შეგირდებიდან განსაკუთრებით გამოვარჩევდი ჩემპიონ დავით მარსაგიშვილს, რომელმაც მწირი საერთაშორისო გამოცდილების მიუხედავად, საკმაოდ დამაჯერებლად და ტექნიკურად ჩაატარა მთელი ტურნირი.

ალსანიშნავია, რომ მან ფინალში თანამემამულე ოთარ ურატაძე დაამარცხა. არადა, თურქეთის ტურნირზე, ურატაძე ჩემპიონი გახდა, მარსაგიშვილი კი მესამე იყო. რაც შეეხება კიდევ ერთ ოქროს მედალოსან თორნიკე ხიდაშელს, მოგეხსენებათ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, მაგრამ მის ჭიდაობას რომ ვუყურებდი, უკმარისობის გრძნობა მეუფლებოდა. ჩემპიონობის მიუხედავად, თორნიკეს ირანში ნაჩვენებზე გაცილებით დიდი პოტენციალი აქვს. ფინალამდე კარგად მივიდა ვასილ მამულაშვილიც, მაგრამ იქ ერთი პატარა შეცდომის გამო წააგო.

მთლიანობაში, ირანის ტურნირით კმაყოფილები ვართ. ეს იყო ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი ევროპის ჩემპიონატის წინ. საევროპედ, გენერალურ რეპეტიციას 2-8 ივლისს, შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშებზე გავივლით.

ვაჟა კრავეიშვილი, **ჭაბუკ ანტიკური სტილით მოჭიდავეთა მთავარი მწვრთნელი**: - რა თქმა უნდა, კარგი შედეგები სასიამოვნოა, მაგრამ ამ ტურნირებს უფრო იმისთვის ვიყენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის, ოპტიმალური შემადგენლობა შევკრიბოთ და არავინ დაიჩაგროს. მთლიანობაში, ირანის ტურნირზე გუნდმა საკმაოდ დიდი გამოცდილება მიიღო.

ალსანიშნავია, რომ არდაბირი საკმაოდ მაღალ ადგილზეა – ზღვის დონიდან 1800 მეტრზე. იქ სალამოობით ისე ციოდა, რომ გათბობას რთავდნენ ხოლმე. გარდა ამისა, ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საოცრად ობიექტურმა მსაჯობამ, რასაც ძალიან მონატრებულები ვართ. საერთო ჯამში, შეჯიბრებას ემსახურებოდა 42 მსაჯი, საიდანაც მხოლოდ 9 იყო უმაღლესი კატეგორიისა. მიუხედავად ამისა, მათით უკმაყოფილო, ფაქტობრივად, არავინ დარჩენილა. კარგი იქნება, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზეც ასეთი მსაჯობა რომ იყოს...

ახლა წინ მხოლოდ შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშებილა დაგვრჩა, რის შემდეგაც, ევროპის პირველობაზე წამსვლელი გუნდი საბოლოოდ დაკომპლექტდება. ევროპის ჩემპიონატი 24-29 ივლისს გვაქვს ვარშავაში.

**კობა ხატისაშვილი**

ჩოგბურთი



შარშანდელი უიმბლდონი. ლაბაძე მეორე წრეში რაფაელ ნადალთან დამარცხდა

# ლაბაძეს ადგილს შეუნარჩუნებენ

გუშინ, გამოქვეყნდა ATP-ისა და WTA-ს ახალი რეიტინგ-ლისტები, რომელიც უიმბლდონის ტურნირის გამო მხოლოდ ორი კვირის მერელა განახლდება. სანამ რეიტინგს გაგაცნობთ, საქართველოს პირველ ჩოგან **ირაკლი ლაბაძის** შესახებ მოგითხრობთ. მოგეხსენებათ, 26 წლის ჩოგბურთელს წლეულს მხოლოდ ერთი მატჩი აქვს ნათამაშები, ისიც "დევისის თასზე". არადა, მას რეიტინგში 180 ქულიდან 165 მოპოვებული აქვს შარშანდელ უიმბლდონზე, სადაც მერვედფინალში გავიდა. გუშინ ირაკლის მამას, **გივი ლაბაძეს** შევეხმიანეთ და მისგან კარგი ამბავი შევიტყვეთ - ქართველი ჩოგბურთელი უკვე ჯანზეა და ექიმებმა მას სრულფასოვანი ვარჯიშის უფლება დართეს. ლაბაძე ავსტრიის დედაქალაქში იმყოფება. სავარაუდოდ, ჩვენებური აგვისტოს შუა რიცხვებიდან ჩაებმება ტურნირებში. თანაც ლაბაძეს უიმბლდონის შარშან დარიცხული ქულების ჩამოკლება არ ემუქრება, რადგან თუ მოთამაშე 6 თვის განმავლობაში ტრავმის გამო ვერსად ითამაშებს, მას პირადი წერილობითი თხოვნის საფუძველზე გარკვეული ხნით სარეიტინგო ქულებს უნარჩუნებენ. ეს რომ არა, ორი კვირის შემდეგ ირაკლი, ალბათ, ათასეულის ბოლოში მოხვდებოდა.

ATP-ის რეიტინგში ასეთი მდგომარეობაა - ირაკლი ლაბაძეს 180 ქულა აქვს და ის მსოფლიოს 220-ე ჩოგანია (+3). **ლადო ჩიხლაძეს** კვლავ 58 ქულა აქვს, საქართველოს ნაკრების მეორე ჩოგანი მსოფლიო კლასიფიკაციაში 478-ეა (+2). **ნოდარ ითონიშვილი** (2 ქულა) კი 1339-ე (-1) პოზიციაზე იმყოფება. წყვილებში ლაბაძე 212-ე ადგილზეა, ჩიხლაძე - 889-ე, ხოლო ითონიშვილი - 1614-ე.

სანამ ქართველ ჩოგბურთელ ქალთა რეიტინგს გაგაცნობთ, გეტყვით, რომ ქართული წარმოშობის **ანა ჩაკვეტაძე** კარიერაში პირველად გახდა მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანი. ჩვენი პირველი ნომერი **მაკა ჩახნაშვილი** მსოფლიოში კვლავ 147-ეა. მაკას 213 ქულა აქვს. ჩახნაშვილი წლის რბოლაში 163-ე ადგილზეა, წყვილებში კი - 192-ეზე. უიმბლდონის საკვალიფიკაციო ტურნირში მარცხის შემდეგ, მაკამ იტალიაში პადოვას საერთაშორისო ტურნირზე (25 ათასი დოლარი) გადაინაცვლა. ტურნირის ორგანიზატორებმა მას სასწრაფო წესით საკვალიფიკაციო ბადის "უაილდ ქარდი" მისცეს, სადაც მასზე მაღალი რეიტინგის არავინ აღმოჩნდა. პირველ ნომრად განთესილმა ჩახნაშვილმა პირველ წრეში დაისვენა, მეორეში კი მაკამ კოლუმბიელ **კარენ კასტიბლანკო-დუარტეს** (783) მოუგო - 6:1, 6:3. ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ჩახნაშვილი მასპინძელ **ალესანდრა დი ბატეს** შეხვდება.

17 წლის **ანა ტატიშვილი** ჯერჯერობით უქმობს, მას 52 ქულა აქვს, ანა მსოფლიოს 388-ე ჩოგანია, მან ერთ კვირაში 14 ადგილით დაიხია უკან. სხვები: 618 (-64) **სალომე დევიძე** - 21 ქულა, 629 (+2) **სოფიო შაფათავა** - 20, 656 (-13) **სოფიო მელიქიშვილი** - 18, 743 (+3) **მანანა შაფაქიძე** - 14, 779 (+5) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 12.5, 790 (+5) **ეკა გორგოძე** - 12, 960 (+2) **სოფიო ქვაცაბაია** - 7.

ათასეულს მიღმა: 1074 (+5) **თინათინ ყავლაშვილი** - 5, 1094 (+5) **სალომე ჩაჩხუნაშვილი** - 4, 1278 (+5) **მარიამ ქურდაძე** - 3, 1304 (+9) **თეონა ცერცვაძე** - 2. დღევანდელი მდგომარეობა მხოლოდ სალომე ჩაჩხუნაშვილისთვისაა კარიერის მიღწევა.

თურქეთში, სტამბოლის გარეუბან ქემერში 25-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ჩაებნენ **სოფიო შაფათავა** და **სოფიო ქვაცაბაია**. შაფათავა ბადეში მე-6 ნომრად განთესეს, პირველი საკვალიფიკაციო წრე მან იოლად დაძლია, რუს **ანასტასია შილინსკაიას** 6:0, 6:1 მოუგო. არ გასჭირვებია მე-12 ნომრად განთესილ ქვაცაბაიასაც, რომელმაც ორ სეტში ბულგარელი **ლიუტფია ველიევა** დაამარცხა - 6:1, 6:3. მეორე წრეში შაფათავა აზერბაიჯანელ **ელინა ჰასანოვას** (649) ხვდება, ხოლო ქვაცაბაიას მეტოქე მე-3 ნომრად განთესილი ინდოელი **სანაა ბჰამბრია** (508).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო

# მეორიდან მეცხრეზე

გუშინ, გამოქვეყნდა პროფესიონალ სუმოისტთა ახალი რეიტინგ-ლისტი (ბანძუკე), რომელმაც ქართველი **ლევან ცაგურიას** (კოკაი) ცუდი გამოსვლა წინა სუპერტურნირში (3-12) ნათლად ასახა - კოკაი მეორიდან დასავლეთის მეცხრე მაეგაშირობამდე ჩამოაქვეითეს. ამ რანგით იჭიდავებს ის ქალაქ ნაგოიაში ივლისის ბაშოზე, რომელიც 8-22 ივლისს გაიმართება. ახალი ბაშოდან სუმოს ორი დიდი ჩემპიონი (იოკოძუნა) ეყოლება: **ასაშორიუ** და **ჰაკუჰო**. ოძეკი მხოლოდ სამია, **ტოჩიაძუმამ** სუმოს თავი დაანება, ხოლო ჰაკუჰო ალზევდა, დარჩნენ **კაიო**, **კოტოოშუ** და **ჩიოტაიკაი**. ტიტულოვან რიკიშთა შორის (იოკოძუნა, ოძეკი, სეკივაკე, კომუსუბი) ოთხი მონღოლია, ოთხი იაპონელი და ერთიც ბულგარელი. ძურიოს დივიზიონიდან რამდენიმე რიკიში დაბრუნდა (მათ შორის ესტონელი **ბარუტო**), მათგან მხოლოდ **ტოიოჰიბიკია** მაკუუჩის (უმაღლესი) დივიზიონის დებიუტანტი.

ივნისის დასაწყისში სუმოისტებს კომერციული, ორდღიანი ტურნირი ჰქონდათ ჰავაის კუნძულებზე. პირველ დღეს ასაშორიუმ მოიგო, მეორე დღეს - ჰაკუჰომ. ტიტულისთვის მატჩში კი ჰაკუჰომ აჯობა თანამემამულეს და ტურნირის მთავარი პრიზი მოიპოვა. მონაწილეთა შორის კოკაიც იყო, რომელმაც მეორე დღეს სენსაცია მოახდინა, მეორე წრეში მან დიდი ჩემპიონი ასაშორიუ დაამარცხა. მანამდე კოკაიმ **დეჯიმა** გამოთიშა ბრძოლიდან, მეოთხედფინალში კი მონღოლ **ამასთან** დამარცხდა. ბანძუკეს გამოქვეყნების დღეს ტრადიციულად სუმოისტთა ახალი მონაცემები გამოქვეყნდა, კოკაი ცენტნერნახევარს ჩამოსცილდა, ის 148 კილოს იწონის. მაკუუჩის დივიზიონში ქართველს უკვე უარყოფითი ბალანსი აქვს - 154:161.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში რეიტინგში წინ წაიწიეს ქართველებმა. **ლევან გორგაძემ** (ტოჩინოშინი, 142 კილო) ბაშო 5-2 ბალანსით დაასრულა, დღეიდან ის მაკუშოტას მე-18 ნომერია, **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ, 166 კილო) ტურნირი 4-3 ბალანსით დაასრულა, ის მაკუშიტას დივიზიონის 39-ე ნომერი გახდა. ტოჩინოშინისთვის ეს კარიერის მიღწევაა. ტოჩინოშინს კიდევ ერთი წარმატებული ბაშო სჭირდება ძურიოს დივიზიონის გადასასვლელ ზონაში მოსახვედრად. საინტერესოა, რომ ამასწინათ იაპონელთა შორის გამოკითხვა მოეწყო, ამ ქვეყანაში ბეისბოლი კვლავ ნომერ პირველ სპორტად რჩება - (გამოკითხულთა 51 პროცენტი), მეორე ადგილზეა ფეხბურთი (22,8), სუმო კი მესამეზეა 18,3 პროცენტით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ივლისის ბანძუკე (რეიტინგი)

| აღმოსავლეთი | რანგი | დასავლეთი |
|---|---|---|
| ასაშორიუ | იოკოძუნა | ჰაკუჰო |
| კაიო | ოძეკი | ჩიოტაიკაი |
| კოტოოშუ | ოძეკი | - |
| კოტომიცუკი | სეკივაკე | ამა |
| ტოკიტენკუ | კომუსუბი | ამინიშიკი |
| კოტოშოგიკუ | მაეგაშირა 1 | ასასეკირიუ |
| დეჯიმა | მ 2 | ვაკანოსატო |
| ტაკეკაძე | მ 3 | როჰო |
| ტაკამისაკარი | მ 4 | ტოიონოშიმა |
| მიაბიამა | მ 5 | ტამანოშიმა |
| ჰომაშო | მ 6 | კისენოსატო |
| ტოჩიოძანი | მ 7 | ფუტენო |
| კაკურიუ | მ 8 | რიუო |
| ტოჩინონადა | მ 9 | კოკაი |
| კასუგაო | მ 10 | ჰოკუტორიკი |
| ტოკიცუუმი | მ 11 | კიტაძაკურა |
| ჰაკუროძანი | მ 12 | სატოიამა |
| იოშიკაძე | მ 13 | ტოსანოუმი |
| ბარუტო | მ 14 | ტოიოჰიბიკი |
| კაიჰო | მ 15 | ტამაკასუგა |
| კაკიძოე | მ 16 | ჰოჩიამა |
| ოცუკასა | მ 17 | - |

დღეს. რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი. 18:30. ვაკე. ლოკომოტივი-ლელო

## დღეს დაკრძალვაა

21 ივნისს საგარეჯოსთან დაღუპულ ძიუდოისტებს დღეს დაკრძალავენ - ჭაბუკ სამბისტთა შორის ევროპის ჩემპიონ მალხაზ კუმლაძეს კასპის რაიონის სოფელ მეტეხში, ალეკო ბითარიშვილს - მშობლიურ დუშეთში. ძიუდოს დიდი ოჯახი, მთელი სპორტული სამყარო დღეს კიდევ ორ ახალგაზრდა შვილს გამოეთხოვება.

საავადმყოფოში რჩებიან იმავე ავარიაში დაშავებულნი - გიგა შოშიაშვილი, არსენ მაჭარაშვილი და ლევან შერმადინი, მაგრამ მათი მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება. ერთი ეგაა, მათი ტრავმებისა და მოტეხილობების მოშუშებას საკმაო დრო დასჭირდება. და კიდევ - დაზარალებულებმა ჯერ არაფერი იციან მეგობრების დაღუპვის შესახებ.

უიმბლდონი

# ჰინგისმა თავისი შანსები ჩამოწერა



როდიკს ყირაზე გადასვლაც კი დასჭირდა

სადაც საფრანგეთის ღია პირველობის პირველი ორი დღე წვიმის გამო თითქმის მთლიანად გაცდა, უიმბლდონი რითი უნდა ყოფილიყო ნაკლები? არც არის - წვიმა სამხრეთაღმოსავლეთ ლონდონსაც ეწვია და თამაშების დიდი ნაწილი ჩაშალა. უამინდობის გამო, ტურნირის დაწყება რამდენიმე საათით გადაიდო. თუმცა ფავორიტების უმეტესობამ პირველი წრის გავლა მაინც მოასწრო.

ავტორიტეტთაგან ყველაზე მეტად შვეიცარიელ **მარტინა ჰინგისს** გაუჭირდა, უცნობი ბრიტანელი **ნაომი ქევედეის** (რეიტინგში 232-ეა) დამარცხება. ჰინგისმა, ვისაც უიმბლდონის ტურნირი ათი წლის წინათ აქვს მოგებული, პირველი სეტი ტაიბრეიკზე დათმო, მერე კი ორჯერ ქულა აშორებდა წაგებასთან. არადა, მის წინაშე იდგა ჩოგბურთელი, რომელსაც ვტა-ს ტურზე ოდენ ორი თამაში აქვს მოგებული.

ჰინგისს მეორე სეტის მოგება გაუჭირდა, მაგრამ მესამეში წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია და მშრალად მოიგო, რითაც მომდევნო წრეში თამაშის უფლება მოიპოვა. თუმცა ნამატჩევს განაცხადა, ჩემგან ამ უიმბლდონის მოგებას ნუ ელითო.

*"ამ შეხვედრის შემდეგ, ჩემს თავს ფავორიტებს შორის ვეღარ ვხედავ. არ ვიცი, იქნებ, მომდევნო შეხვედრების შემდეგ სხვაგვარად ვიფიქრო, მაგრამ ახლა ასეა. მაშინაც კი, როცა ორი მატჩ პოინტის წინაშე აღმოვჩნდი, არ მჯეროდა, რომ წაგება შემეძლო. ვიცი, მეორე კორტს ჩემპიონთა სასაფლაოს უწოდებენ, მაგრამ აქ მე არასოდეს წამიგია და ალბათ არც წავაგებ"*, - განაცხადა ჰინგისმა, ვინც საფრანგეთის ღია წელის ტრავმის გამო გამოტოვა.

მისგან განსხვავებით, პირველი წრე უბრალო ვარჯიშად გამოადგა მის თანამემამულეს, ტურნირის ოთხგზის ჩემპიონ **როჯერ ფედერერს**, რომელმაც სამ სეტში აჯობა რუსეთის სახელით მოთამაშე **თეიმურაზ გაბაშვილს**.

მიუხედავად იმისა, რომ უიმბლდონზე შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ, ფედერერი ბალახის კორტზე პირველად გამოვიდა, ეტყობოდა, რომ ამ საფარზე თამაში მას სისხლში აქვს გამჯდარი. როლან გაროსზე გადაღლის გამო რომ ბალახის სეზონის პირველ ტურნირებზე ასპარეზობას სულის მოთქმა ამჯობინა, ის არ შემცდარა. უიმბლდონის პირველი სამი წრე მას მოთელვისთვის გამოადგება, ფორმაში შესული კი ნებისმიერ მეტოქეს დაატეხავს თავის საჩემპიონო "რისხვას". სწორედ ისე, როგორც გაბაშვილს, ვისაც სულ 93 წუთში გაუსწორდა.

*"ამ საფარზე თამაშის იმდენი გამოცდილება მაქვს დაგროვილი და იმდენად თავდაჯერებული ვარ, რომ ამ სეზონში ბალახზე სათამაშო პრაქტიკის უქონლობის მიუხედავად, ფორმაში მაინც სწრაფად შევალ. ამ შეხვედრაში სწორედ ეს გამოჩნდა. უფრო მეტს კი მომდევნო შეხვედრებში გპირდებით"*, - განაცხადა ფედერერმა, ვინც, თუ ტურნირს ზედიზედ მეხუთედაც მოიგებს, ამით ლეგენდარული შვედი **ბიორნ ბორგის** მიღწევას გაიმეორებს.

პირველი წრის ბარიერის გასავლელად სამი სეტი დასჭირდა ამერიკელ **ენდი როდიკსაც**, ვისაც შანსი აქვს, თუ ნახევარფინალს მიაღწევს, იქ სწორედ ფედერერს დაუპირისპირდეს. ამერიკელმა თანამემამულე **ჯასტინ გიმელსტობთან** შეხვედრაში 16 ეისი მოაწოდა.

ამათგან განსხვავებით, ცოტა გაუჭირდათ ქალთა ბადის ფავორიტებს, მსოფლიოს ბელგიელ პირველ ჩოგანს **ჟუსტინ ანენსა** და ამერიკელ **სერენა უილიამსს**. თუმცა მათი გაჭირვება მეტოქეებმა კი არა, უამინდობამ განაპირობა. ჟუსტინმა მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო ტურნირზე საკვალიფიკაციო ეტაპის გავლით მოხვედრილ არგენტინელ **იორხელინა კრავეროს**, სერენამ კი მეორე სეტი მშრალად მოუგო ესპანელ **ლურდეს დომინგეს ლინოს**.

### კაცები

#### პირველი წრე

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:3, 6:2, 6:4; **ენდი როდიკი (აშშ, 3)**-ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:1, 7:5, 7:6(3); **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 5)**-რობი გინეპრი (აშშ) 3:6, 7:6(4), 6:2, 6:2; **ტომი ჰაასი (გერ, 13)**-ზაკ ფლაიშმანი აშშ) 6:3, 6:4, 6:2; **დავიდ ფერერი (ესპ, 17)**-სერჯო როიტმანი (არგ) 6:3, 6:3, 6:1; **ფლორან სერა (საფ)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 27) 7:6(4), 6:4, 6:4; **ალეხანდრო ფალა (კოლ)**-სემ ქვერი (აშშ) 7:6(5), 6:1, 6:4; **მიხაელ ბერერი (გერ)**-ალბერტ მონტანესი (ესპ) 6:3, 6:3, 6:2; **იანკო ტიპსარევიჩი (სერბ)**-ალექსანდერ პეია (ავსტ) 4:6, 3:6, 6:3, 6:4, 6:3; **ტომაშ ზიბი (ჩეხ)**-დეგო ჰარტფილდი (არგ) 4:6, 7:6(4), 3:6, 6:3, 6:4; **დანაი უდომჩოკე (ტაი)**-კარლოს ბერლოში (არგ) 6:4, 7:5, 6:3; **პოლ-ანრი მატიე (საფ)**-რადეკ სტეპანეკი (ჩეხ) 7:6(4), 6:2, 6:2

### ქალები

#### პირველი წრე

**ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)**-იორხელინა კრავერო (არგ) 6:3, 6:0; **სერენა უილიამსი (აშშ, 7)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 7:5, 6:0; **მარტინა ჰინგისი (შვეი, 9)**-ნაომი ქევედეი (ბრიტ) 6:7(1), 7:5, 6:0; **პატი შნიდერი (შვეი, 15)**-კამილ პენი (საფ) 6:1, 4:6, 8:6; **შაჰარ პეერი (ისრ, 16)**-ტამარინ ტანასუგარნი (ტაი) 7:5, 6:2; **მარიონ ბარტოლი (საფ, 18)**-ფლავია პენეტა (იტა) 6:3, 6:1; **სიბილ ბამერი (ავსტ, 20)**-ვარვარა ლეპჩენკო (უზბ) 6:2, 6:2; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 25)**-სუზანა ონდრაშკოვა (ჩეხ) 7:5, 6:2; **ლაურა გრენვილი (აშშ)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან) 7:6(4), 6:3; **აიკო ნაკამურა (იაპ)**-მარტინა სუხა (სლვკ) 7:5, 6:2; **კაია კანეპი (ესტ)**-ტატიანა მალეკი (გერ) 6:1, 6:4; **რობერტა ვინჩი (იტა)**-ეშლი ჰერკლროუდი (აშშ) 6:2, 6:1; **ალისია მოლიკი (ავსტრა)**-ანასტასია როდიონოვა (რუს) 6:3, 6:2; **ვერა დუშევინა (რუს)**-ტიმეა ბაჩინსკი (შვეი) 6:4, 6:5

---

მძლეოსნობა

აშშ-ის ჩემპიონატი

# გეის სპრინტერული დუბლი



ტაისონ გეი

ამერიკელ სპრინტერ **ტაისონ გეისთვის** ეს სეზონი კარიერაში საუკეთესოა. ჯერ იყო და, ას მეტრზე სპრინტში, ზედიზედ ორჯერ მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება შეძლო, დასაშვებზე ძლიერი ზურგქარის გამო, შედეგები არ ჩაეთვალა. ახლა კი, ინდიანაპოლისში მიმდინარე აშშ-ის ჩემპიონატზე ასპარეზობისას, ას და ორას მეტრზე სპრინტში მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის წოდება.

რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გუშინ, ორას მეტრზე სპრინტში, სველ ბილიკზე ასპარეზობისას, ყველა დროის მეორე საუკეთესო შედეგი (19.62 წამი) დააფიქსირა. ეს მანძილი მასზე სწრაფად (19.32 წამში) მხოლოდ ლეგენდარულ ამერიკელ **მაიკლ ჯონსონს** აქვს გარბენილი.

მანამდე, ჩემპიონატის მეორე დღეს, ასი მეტრი 9.84 წამში გაირბინა და უახლოესი მდევარი 0.23 წამით ჩამოიტოვა, რაც 1975 წლის შემდეგ ამ დისტანციაზე გამარჯვებულის ყველაზე დიდი უპირატესობაა. რეკორდის დამხობა ძალიან მინდოდა, მაგრამ ამინდმა ხელი არ შემიწყოო - თავი იმართლა ნაფინიშევს ტაისონმა, ვინც ამ ორი გამარჯვების წყალობით, ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზე ორივე დისტანციაზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

ორას მეტრზე ასპარეზობა მეორე ადგილზე დაასრულა მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა **უოლეს სპირმონმა** (19.89 წამი), 400 მეტრზე სპრინტში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა **ჯერემი უორინერმა** 20.35 წამით მეოთხე ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია ისიც, რომ **ქსავიე კარტერმა** ვისაც 200 მეტრზე სპრინტში აქამდე ეკუთვნოდა ყველა დროის მეორე საუკეთესო შედეგი (19.63 წამი), ასპარეზობა ნახევარფინალურ ეტაპზე, წვივის ტრავმის გამო შეწყვიტა.

გეი არ მალავს, რომ ამ სეზონში მისი მთავარი მიზნები ოსაკაში ორივე დისტანციაზე გამარჯვება და მსოფლიო რეკორდის დამყარებაა.

შეგახსენებთ, რომ ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოს რეკორდს (9.77 წამი) ორი სპრინტერი - იამაიკელი **ასაფა პაუელი** და ამერიკელი **ჯასტინ გეტლინი** იყოფს. მაგრამ ეს უკანასკნელი ალბათ თანარეკორდსმენობას დოპინგის გამო დაკარგავს. ანალოგიური მიზეზით, მას მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტულების დაკარგვის საშიშროებაც ელის. რაც შეეხება პაუელს, მან რეკორდულ დროში ასი მეტრი სამჯერ აქვს გარბენილი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

---



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტორბოლა

## მსოფლიო ჩემპიონატი

### ბრიტანეთის გრან-პრი

VIII ეტაპი

#### 125 კუბ.სმ (25 წრე - 100.575 კმ)

1. **პაზინი** (იტალია, "აპრილია") - 41:49.049; 2. **კოიამა** (იაპონია, KTM) - +3.253; 3. **ფაუბელი** (ესპანეთი, "აპრილია") - +5.094; 4. **გადეა** (ესპანეთი, "აპრილია") - +6.781; 5. **ოლივე** (ესპანეთი, "აპრილია") - +7.212.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ფაუბელი** - 118 ქულა; 2. **ტალმაში** (უნგრეთი, "აპრილია") - 115; 3. **პეშეკი** (ჩეხეთი, "დერბი") - 94; 4. **გადეა** - 92; 5. **კოიამა** - 88.

#### 250 კუბ.სმ (27 წრე - 108.621 კმ)

1. **დოვიციოზო** (იტალია, "ჰონდა") - 48:40.173; 2. **დე ანჯელისი** (სან მარინო, "აპრილია") - +22.102; 3. **ჰიროში აიომა** (იაპონია, KTM) - +1:03.137; 4. **ტაკაჰაში** (იაპონია, "ჰონდა") - +1:03.370; 5. **შუჰეი აიომა** (იაპონია, "ჰონდა") - +1:25.269.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ლორენსო** (ესპანეთი, "აპრილია") - 153 ქულა; 2. **დოვიციოზო** - 142; 3. **დე ანჯელისი** - 135; 4. **ბაუტისტა** (ესპანეთი, "აპრილია") - 100; 5. **ბარბერა** (ესპანეთი, "აპრილია") - 71.

#### მოტოგრანპრი (30 წრე - 120.690 კმ)

1. **სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - 51:40.739; 2. **ედვარდსი** (აშშ, "იამაჰა") - +11.768; 3. **ვერმიულენი** (ავსტრალია, "სუძუკი") - +15.678; 4. **როსი** (იტალია, "იამაჰა") - +21.827; 5. **ჰოპკინსი** (ბრიტანეთი, "სუძუკი") - +35.518.

**საერთო ჩათვლა:** 1. **სტოუნერი** - 165 ქულა; 2. **როსი** - 139; 3. **პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - 106; 4. **ვერმიულენი** - 88; 5. **ჰოპკინსი** - 83.

ჩოგბურთი

## მიურეი უიმბლდონის გარეშე დარჩა

როგორც წინა ნომერში ვიტყობინებოდით, ორშაბათს უნდა გარკვეულიყო ბრიტანული ჩოგბურთის ლიდერის **ენდი მიურეის** ბედი. 20 წლის ჩოგბურთელი ექიმების ვერდიქტს ელოდა. მათ უნდა გაერკვიათ, ბოლომდე მოირჩინა თუ არა მიურეიმ მაჯის ტრავმა და შეძლებდა თუ არა ის უიმბლდონზე თამაშს. სამწუხაროდ, ენდის "დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირზე თამაში აუკრძალეს. შეგახსენებთ, რომ მიურეი უიმბლდონზე მერვე ნომრად იყო განთესილი.

*"ექიმებმა მირჩიეს, თავი შემეკავებინა კორტზე გასვლისგან. ტრავმის სრულად მოსაშუშებლად კიდევ 10 დღე დამჭირდება და მხოლოდ ამის შემდეგ მოვახერხებ ჩოგბურთის თამაშს. უიმბლდონზე თამაშს მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებდი, თუ ლონდონში 10 დღე გადაუღებლივ იწვიმებდა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდება და ამიტომაც, ჩემი საყვარელი ტურნირის გამოტოვება მომიწევს"*, - ამბობს მიურეი.

უიმბლდონის ორგანიზატორებმა სასწრაფოდ მოუნახეს შემცვლელი მასპინძელ ჩოგბურთელს. ძირითად ბადეში მისი ადგილი ამერიკელმა **კევინ კიმმა** დაიკავა, რომელმაც კვალიფიკაციის ფინალი წააგო.

კალათბურთი

## კარტერი ნიუ ჯერსის მოელაპარაკა

"ნიუ ჯერსი ნეტსის" ერთ-ერთი ლიდერმა **ვინს კარტერმა** კლუბთან ახალი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა.

ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსალი კალათბურთელი ოთხი წლით გააგრძელებს კონტრაქტს თავის ამჟამინდელ კლუბთან და მისი წლიური ხელფასი 15 მილიონი დოლარი იქნება. ამ ინფორმაციას New York Daily News ავრცელებს.

ახალი ხელშეკრულება 30 ივნისამდე უნდა გაფორმდეს, თორემ 1 ივლისიდან კარტერი თავისუფალი აგენტი გახდება და ამის შემდეგ, მაქსიმუმ სამწლიანი კონტრაქტის იმედად დარჩება.

## ოლიმპიაკოსს დიდი მიზნები აქვს

ახალი სეზონის წინ, შემადგენლობას აძლიერებს საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალისტი "ოლიმპიაკოსი". ამ გუნდმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა 22 წლის ცენტრალურ თავდამსხმელ **იან ვუგიუკასთან**. ეს ბერძენი კალათბურთელი, რამდენიმე წელიწადი სენტ ლუისის უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდა. თავის ბოლო სტუდენტურ სეზონში, ვუგიუკასი (213 სმ) საშუალოდ მატჩში 12.4 ქულასა და 7.4 მოხსნას აგროვებდა.

გარდა ამისა, ერთი წლით გააგრძელა კლუბთან კონტრაქტი კაპიტანმა მანოლის **პაპამაკარიოსმა**.

"ოლიმპიაკოსის" მორიგი სამიზნე ესპანეთის "ტაუგრესის" გამთამაშებლის, **ზორან პლანინიჩის** გადაბირება გახლავთ.

## TV სპორტი

### 26 ივნისი. სამშაბათი

#### იმედი

**02:05** ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-პერუ (LIVE).
**04:50** ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ვენესუელა-ბოლივია (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კიევო.
**14:10** ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. მანჩესტერი-რეინჯერსი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:15** ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**17:45** ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. ლაციო-ჩელსი.
**19:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:00** ესპანეთის თასი. ფინალი. სევილია-ხეტაფე.
**21:50** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ლივერპული.
**23:35** ტოქ-შოუ - 90 წუთი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:10** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ესპანიოლი.
**09:00** სპორტკლუბი.
**09:45** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**10:15** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-კორინთიანსი.
**12:00** მინი-მოედანი.
**12:25** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნოტინგემი. ინგლისი.
**15:30** სპორტკლუბი.
**16:15** აფროსნობა. ამერიკის თასი.
**16:40** ცურვა. Fina-გრან-პრი. სლოვენია.
**18:15** მინი-მოედანი.
**18:40** ფეხბურთი. Barca TV. ანდრეს ინიესტა.
**19:30** სპორტინფორმი.
**19:40** ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ჩივასი-დინამო (ჰიუსტონი).
**21:30** სპორტინფორმი.
**21:45** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ბორუსია (დ).
**23:25** სპორტინფორმი.
**23:40** ფეხბურთი.
**23:55** რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1997-98 წლების სეზონი. იუვენტუსი-დინამო.
**01:45** სპორტინფორმი.
**01:55** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**02:25** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-კორინთიანსი.
**04:10** ცურვა. Fina-გრან-პრი. სლოვენია.
**05:45** აფროსნობა. ამერიკის თასი.

#### EUROSPORT

**10:30** მულტისპორტი.
**11:30** ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. კლივლენდი. აშშ.
**12:30** მძლეოსნობა. ევროპის თასი. მიუნხენი. გერმანია.
**15:00** მძლეოსნობა. აშშ-ის ჩემპიონატი.
**16:00** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. რუსეთი-კუბა. რუსეთი.
**17:00** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ბულგარეთი-პოლონეთი. ბულგარეთი.
**18:00** მძლეოსნობა. ევროპის თასი. მიუნხენი. გერმანია.
**21:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. რუსეთის გრან-პრი.
**22:00** კრივი. ევროპის ჩემპიონატი. საშუალო წონა. რ. დიასი (ესპანეთი)-ლ. შონია (საქართველო). ბილბაო. ესპანეთი.
**23:00** კრივი.
**01:00** რალი. ახალი სერია. ბელგია.
**01:30** მძლეოსნობა. ევროპის თასი. მიუნხენი. გერმანია.
**02:30** სუმო.

#### EUROSPORT-2

**08:30** ახალი ამბები.
**09:45** სერფინგი.
**10:00** ახალი ამბები.
**11:45** სერფინგი.
**12:00** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. რუსეთი-კუბა. რუსეთი.
**13:00** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. ფინალი. ბარსელონა-რეალი. IV მატჩი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-დალასი.
**17:30** რაგბი. IRB. წყნარი ოკეანის ერთა თასი. იაპონია-ახალი ზელანდია.
**18:30** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. ფინალი. ბარსელონა-რეალი. IV მატჩი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** მულტისპორტი.
**20:45** ექსტრემალური სპორტი.
**21:45** სერფინგი.
**22:00** ახალი ამბები.
**22:30** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. დიდი ბრიტანეთის გრან პრი.
**00:00** ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-დალასი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** პრო-რესტლინგი.
**02:15** ახალი ამბები.
**02:45** სერფინგი.
**03:00** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ნორვეგია** | |
| ლინი-რუსენბორგი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| გაის-აიკ | 1:1 |
| ერებრუ-იურგორდენი | 0:0 |
| ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 2:3 |
| **II დივიზიონი** | |
| მიალბიუ-სილვია | 1:0 |
| **ფინეთი** | |
| მარიეჰამნი-მიუპა | 0:2 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-უოტერფორდი | 1:0 |

NBA. სან ანტონიო სპურსი

# ბირთვი ბირთვად, ბერი ბალასტად?

საჩემპიონო შემადგენლობას ხშირად ცვლიან ხოლმე, მაგრამ ხშირ შემთხვევებში უცვლელი რჩება გუნდის დამრტყმელი ძალა, ძირითადი ბირთვი, რომლის წყალობითაც ის წლიდან წლამდე ლიდერებში ყოფნას ახერხებს.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა "სან ანტონიო სპურსშიც". მაგიური სამკუთხედი - ტიმ დანკანი, მანუ ჯინობილი და ტონი პარკერი თავიანთ კარიერას, ალბათ, ტეხასურ გრანდში დაასრულებენ, სხვების ამბავი კი გასარკვევი და ძნელად. პროგნოზირებადი იქნება. ამჯერად გთავაზობთ "სან ანტონიოს" ძირითადის მოთამაშეების საკონტრაქტო სტატუსებსა და მცირე პროგნოზს მათი მომავლის შესახებ.

## ტიმ დანკანი (31 წლის)

**კონტრაქტის სტატუსი:** გუნდთან კიდევ სამწლიანი ხელშეკრულება აკავშირებს, რომლის მიხედვითაც 61.7 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. რამდენიმე დღის წინათ, "სპურსმა" თავის კაპიტანთან ხელშეკრულების ორი წლით გახანგრძლივებაზე დაიწყო მოლაპარაკება.

**მომავალი:** კარიერას "სპურსში" დაასრულებს და მინიმუმ ერთხელ მაინც უნდა შეძლოს სუპერფინალში გასვლა.

## მანუ ჯინობილი (29)

**კონტრაქტის სტატუსი:** სამი წელი, 29.1 მილიონი.

**მომავალი:** მანუ არაჩვეულებრივ ფორმაშია და შეიძლება ითქვას, კარიერის პიკზე იმყოფება. ერთადერთი, რაც **გრეგ პოპოვიჩს** თავის არგენტინელ ვარსკვლავთან აქვს გასარკვევი, დათანხმდება თუ არა ჯინობილი დამდეგ სეზონშიც სათადარიგოობას.

## ტონი პარკერი (25)

**კონტრაქტის სტატუსი:** 4 წელი, 47.2 მილიონი.

**მომავალი: ტონი** კიდევ მოუმატებს. სუპერფინალების უძვირფასესი მოთამაშე დანკანთან ერთად, გუნდის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა და ტეხასელთა გეგმებში, მასთან შემდეგ სეზონშივე კონტრაქტის გახანგრძლივება შედის.

## ბრიუს ბოუენი (36)

**კონტრაქტის სტატუსი:** ერთი წელი, 4.1 მილიონი.

**მომავალი: ბრიუსმა** შესაძლოა, ახალი კონტრაქტით სეზონში სადღაც 6-7 მილიონი მოითხოვოს, რაც მისი შარშანდელი გამოსვლიდან გამომდინარე, ვეტერანი ფორვარდისთვის სრულიად დამსახურებული პენსია იქნება. ორი-სამი წლის მერე, მან შესაძლოა, კარიერაც დაასრულოს.

## ფაბრიციო ობერტო (32)

**კონტრაქტის სტატუსი:** ერთი წელი, 2.5 მილიონი დოლარი, შეუძლია კონტრაქტი დაარღვიოს.

**მომავალი:** ჩემპიონს გუნდიდან სხვაგან წასვლა ნაღდად არ სურს, მაგრამ შესაძლოა, საკუთარი თავი მაინც გაიყვანოს თავისუფალ აგენტთა ბაზარზე და "სპურსს" ახალი კონტრაქტით წლიურად 5 მილიონამდე გადაახდევინოს.

## მაიკლ ფინლი (34)

**კონტრაქტის სტატუსი:** ერთი წელი, 3.1 მილიონი, კონტრაქტის დარღვევის უფლებით.

**მომავალი: ფინლიმ** თავიდან თქვა - კარიერა დავასრულეო, მაგრამ შემდეგ აღნიშნა, რომ ჩემპიონობამ იმხელა ენერგია შემმატა, იქნებ მომდევნო სეზონშიც ვითამაშო და ამის მერეღა წავიდეო. მაიკლის ხელფასის 65 პროცენტს დღესაც მისი ყოფილი გუნდი "დალას მავერიქსი" იხდის.

## რობერტ ორი (36)

**კონტრაქტის სტატუსი:** ერთი წელი, 3.6 მილიონი დოლარი.

**მომავალი:** ერთი წლითაც სურს ტეხასში დარჩენა და ამის წინააღმდეგი არც **პოპოვიჩი** და არც "სპურსის" რომელიმე სხვა ბოსია. **რობერტი** რეგულარულში გაერთობა, ბებერ სხეულს ფლეი ოფისთვის შეინახავს და იქ "აინყვიტავს".

## ბრენტ ბერი (35)

**კონტრაქტის სტატუსი:** ერთი წელი, 5.5 მილიონი.

**მომავალი: ბერიმ** "სან ანტონიოსთან" ერთად ყველაზე ნაყოფიერი რეგულარული და საკმაოდ ნორმალური ფლეი ოფი ჩაატარა, მაგრამ ბერი შეტევაში სტაბილურობას, დაცვაში თვალშისაცემ რეგრესს უნაცვლებს, რაც პოპოვიჩს არ აწყობს. სავარაუდოდ, ბერი "დენვერში" წავა, საიდანაც "სპურსი" "ნაგეტსის" ფანებისგან მოძულებულ **ჯეი. არ. სმიტს** წამოიყვანს.



მანუ ჯინობილი

## ფრანსისკო ელსონი (31)

**კონტრაქტის სტატუსი:** ერთი წელი, 3 მილიონი.

**მომავალი: ობერტო** მასზე ბევრად გამოცდილი და ჭკვიანი მოთამაშეა, მაგრამ ჰოლანდიელი ცენტრი რომ "სპურსში" ბოლო კაცი არ არის, თუნდაც "კლივლენდთან" სერიამ დაგვანახა. **ელსონის** მოედანზე შესვლა და "სან ანტონიოს" გამოფხიზლება ერთი იყო. გუნდში ნამდვილად დარჩება.

## ჟაკ ვონი (32)

**კონტრაქტის სტატუსი:** თავისუფალი აგენტი.

**მომავალი:** "სან ანტონიო" ყველაფერს ილონებს, რათა **ტონი პარკერის** შემცვლელი შეინარჩუნოს. ასეთი ძლიერი მეორე გამთამაშებელი "სპურსს" 2003 წლის მერე არ ჰყოლია. მაშინ ახალგაზრდა პარკერს **სპიდი კლექსტონი** ცვლიდა.

## მეტ ბონერი (27)

**კონტრაქტის სტატუსი:** თავისუფალი აგენტი.

**მომავალი:** "სპურსს" მოსწონს **ბონერი** და წითურა მსუბუქი ფორვარდი, ალბათ, გუნდთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს, რომლის ღირებულებაც 12 მილიონ დოლარამდე უნდა იყოს.

## ბენო უდრიხი (25)

**კონტრაქტის სტატუსი:** ერთი წელი, 1.7 მილიონი.

**მომავალი:** გუნდში ვონის მისვლამდე პარკერის ძირითადი დუბლიორი სწორედ სლოვენიელი ვარსკვლავი იყო, თუმცა პოპოვიჩს დღესაც არ აკმაყოფილებს დაცვაში მისი თამაში და აქედან გამომდინარე, ბერის შემდეგ უდრიხი გაცვლის ყველაზე რეალური კანდიდატია. არ არის გამორიცხული, ბენო თელ ავივის "მაკაბიში" გადავიდეს.

## მელვინ ელი (29)

**კონტრაქტის სტატუსი:** თავისუფალი აგენტი.

**მომავალი:** მოთამაშე, რომელიც "სპურსში" ნაღდად არ დარჩება.

## ჯეკი ბატლერი (22)

**კონტრაქტის სტატუსი:** 2 წელი, 4.7 მილიონი დოლარი.

**მომავალი:** საზაფხულო ლიგებში თუ კარგად ითამაშებს, მაშინ პოპოვიჩი და მისი სამწვრთნელო შტაბი ამ ახალგაზრდას დაიტოვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი იგი სხვაგან ითამაშებს. ბატლერს შარშან "ჰიუსტონი" და "დალასი" ეპატიჟებოდნენ, თუმცა მან "როკეტსის" თანაშტატელში გადასვლა ამჯობინა.

## ჯეიმს უაითი (24)

**კონტრაქტის სტატუსი:** ერთი წელი, ლიგის მინიმალური ხელფასი.

**მომავალი: ბატლერის** დარად, საზაფხულო ლიგებზე სტაბილურობით უნდა მოთაფლოს დესპოტი გრეგი. მისი დარჩენა-არდარჩენა "სან ანტონიოში" ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ზურაბ თალაკვაძე

ვარსკვლავი

# დიდი შაკის გამოცდა

## მაიამის ცენტრი ABC-ზე რეალითი-შოუს იწყებს

თქვენ მსუქანი შვილი გყავთ, რომელიც მთელი დღეები იმით არის დაკავებული, რომ მუსიკას უსმენს, კომპიუტერზე თამაშობს, ინტერნეტს უზის ან გაუთავებლად ტელევიზორს უყურებს? და არ იცით, როგორ მოიქცეთ? მაშინ თქვენს საშველად თვით **შაკილ ო'ნილი** მოიჩქარის.

"მაიამი ჰიტის" ცენტრალური თავდამსხმელი ტელეარხ ABC-ზე რეალითი-შოუს იწყებს, რომელსაც "დიდი შაკის გამოცდა" ეწოდება. კალათბურთელის ამოცანაა, სკოლის ექვსი მოსწავლე, რომლებსაც ზედმეტი წონა აწუხებთ, სპორტული აღნაგობის ბიჭებად აქციოს და მათ ჯანსაღი ცხოვრების წესი შეაყვაროს. ამოცანა არც ისე იოლია. ერთი ბიჭი პიცაზეა შეყვარებული, მეორე ჰამბურგერს ვერ ელევა, მესამე - პოპკორნს...

*"ჩვენ ტექნოლოგიურ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. ბავშვებისთვის იოლია მივიდეს სახლში, ყურში iPod გაიკეთოს ან Sega-ს თამაში დაიწყოს. შემდეგ კომპიუტერს მიუჯდეს და მეგობრებთან გააბას საუბარი. თანაც, ეს ყველაფერი ჩიფსების ან პიცის თანხლებით მიმდინარეობს. ამას ემატება ისიც, რომ ჩვენს სკოლებში სულ უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა ფიზიკურ აღზრდას. ჩემს დროს, ფიზკულტურა აუცილებელი საგანი იყო. ახლა კი, ის ამერიკული სკოლების მხოლოდ 6 პროცენტშია სავალდებულო. ეს საშინელებაა!"* - ამბობს NBA-ის ვარსკვლავი.



შაკილ ო'ნილი

ავტოსპორტი

## მონტოიამ ნასკარში მოიგო

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა **ხუან-პაბლო მონტოიამ** ნასკარის სერიაში პირველ გამარჯვებას მიაღწია. ეს მოხდა Toyota/Save Mart 350-ის რბოლაში, რომელიც კვირას, კალიფორნიის ქალაქ სონომის Infineon Raceway-ის ავტოდრომზე გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ "მაკლარენის" ყოფილი პილოტი, რომელიც თავის დროზე კარტის სერიის ჩემპიონი და ინდი 500-ის გამარჯვებული იყო, კვალიფიკაციის შემდეგ, 43 მანქანას შორის 32-ე ადგილს იკავებდა.

მონტოიამ გამარჯვება "დოჯის" მანქანით მოიპოვა.

ჰოკეი

## ბრიერი ბაფალოს დატოვებს

"ბაფალო სეიბრზმა" ვერ შეძლო თავისი ექს-კაპიტანის, **დანიელ ბრიერის** შენარჩუნება. მხარეები ახალი კონტრაქტის ფინანსურ დეტალებზე ვერ შეთანხმდნენ და შესაბამისად, 1 ივლისიდან ბრიერი თავისუფალი აგენტი გახდება.

ეს ჰოკეისტი დიდი ხანი უმუშევარი ნამდვილად არ დარჩება, რადგან NHL-ის კლუბებს შორის მასზე ნამდვილი ნადირობაა გამოცხადებული.

ჭადრაკი

მსოფლიო ჩემპიონატი

# ტოპალოვი მექსიკაში არ გაუშვეს

ბულგარელი დიდოსტატი **ვესელინ ტოპალოვი** ამა წლის სექტემბერში, მექსიკაში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობას ვერ მიიღებს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (FIDE) საპრეზიდენტო საბჭომ.

FIDE-ს ახალი წესების თანახმად, ტოპალოვს არ ეკუთვნოდა წლევანდელ ჩემპიონატში თამაში, რადგან ელისტაში საჩემპიონო ტიტული რუს **ვლადიმერ კრამნიკს** დაუთმო. მაგრამ ბულგარეთის ჭადრაკის ფედერაცია ფულსა და ძალებს არ იშურებდა იმისთვის, რომ ვესელინი მექსიკაში გამგზავრებულიყო.

საბოლოოდ, FIDE-მ ასეთი რამ გადაწყვიტა: თუ კრამნიკი მექსიკაში მსოფლიო ჩემპიონატს მოიგებს, მაშინ ვალდებული იქნება, ამ წლის ბოლოს, მატჩ-რევანში ეთამაშოს ტოპალოვს. ხოლო თუ ჩემპიონი სხვა დიდოსტატი გახდება, მაშინ მას მოუწევს 2008 წელს მატჩ-რევანშის გამართვა კრამნიკთან, ტოპალოვი კი, მსოფლიო თასის გამარჯვებულს შეხვდება. ამ მატჩებში მოგებულები კი, იმავე წელს, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ურთიერთშეხვედრაში გაითამაშებენ.

წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი 11 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე გაიმართება. ჯერჯერობით, ამ ტურნირის რვა მონაწილეა ცნობილი. ესენი არიან: მსოფლიო ჩემპიონი **ვლადიმერ კრამნიკი** (რუსეთი), ექს-ჩემპიონი **ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი), **პეტრ სვიდლერი, ალექსანდრ მოროზევიჩი, ალექსანდრ გრიშჩუკი** (ყველა - რუსეთი), **პეტერ ლეკო** (უნგრეთი), **ბორის გელფანდი** (ისრაელი) და **ლევონ არონიანი** (სომეხი).


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა